ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 მაისი, 2021 №83 (8612) ფასი: 60 თეთრი

ლაშა ჩხარტიშვილი: „სახეახეული „ოცნება“ ტყვეებითა და მძევლებით ვაჭრობას აგრძელებს“

გვ.4

„გახარია ივანიშვილს პირდაპირ უნდა დაარტყას“

გვ.2

კახა კუკავა:

„მელიასთან მეც ვაპირებ შეხვედრას და ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი მიდგომა. ერთიანობა თუ გინდა, მაშინ ყველასთან უნდა გამონახო საერთო ენა“

ზაალ უდუმაშვილი: „პარლამენტში უნდა შევიდეთ“

გვ.2

„პრაიმერის ჩატარების ვერსიასაც განვიხილავთ, ის ვერსიაცაა, რომ პოლიტსაბჭომ გადაწყვიტოს“

„ბიძინას ოცნებაა, ნაცმოძრაობა თამაშგარე მდგომარეობაში იყოს და პარლამენტში არ იყოს“

შალვა ხაჭაპურიძე: „მელიას დაპატიმრება სრული სიგიჟე იყო“

გვ.3

„მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენი ფაქტობრივად აღარ გამოაქვთ. არ უნდათ, პროკურატურას და პოლიციას დაეტაკონ“

„თუ ირანი ჩაერთო, ეს იქნება ისრაელ-ირანის ომი“

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „ის, რაც ისრაელში ხდება, წინასწარ იყო დაგეგმილი“

„ოპოზიციამ 20 ივნისის საქმეებზე ამნისტიას მხარი არ უნდა დაუჭიროს“

გვ.3

თამარ ჩხეიძე: „ვასაძეს რიონის ხეობის დამცველების დისკრედიტაციის საშუალება არ უნდა მიეცეს“

კახა კოქორიძე: „ახლანდელმა „რუსთავი 2“-მა მთელი ქონება გადამალა“

ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი სამართლებრივ ბრძოლას აგრძელებენ

გვ.5

ISSN 1987-9385

5 სპეცოპერაცია ვაკეში
პოლიციამ დავით იმნაძე დააკავა

6 რომის პაპმა ფრანცისკემ მოსახლეობასთან ტრადიციული აუდიენციები აღადგინა

5 სტრასბურში სააკაშვილის, მელიას და უგულავას საჩივრების განხილვას მინიმუმ 2 წელი დასჭირდება

6 ისრაელმა ღაზას სექტორში ასობით საჰაერო დარტყმა განახორციელა

ზაალ უდუმაშვილი: „პარლამენტში უნდა შევიდეთ“

„პრაიმერის ჩატარების ვერსიასაც განვიხილავთ, ის ვერსიაცაა, რომ პოლიტსაბჭომ გადაწყვიტოს“

იაგო ნაცვლიშვილი

უნდა შევიდეს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში? რა ვერსიებს განიხილავენ პარტიაში? გაითვალისწინებენ თუ არა დასავლეთის პოზიციას? იქნება თუ არა ნიკა მელია ოპოზიციის საერთო კანდიდატი თბილისის მერად და დასრულდა თუ არა პარტიის დაპირისპირება „სტრატეგია აღმაშენებელთან“, ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ზაალ უდუმაშვილი საუბრობს.

„ბიძინას ოცნებაა, ნაცმოძრაობა თამაშგარე მდგომარეობაში იყოს და პარლამენტში არ იყოს“

– პარლამენტში შესვლა – არშესვლასთან დაკავშირებით დიდი დისკუსიაა ნაციონალურ მოძრაობაში. თქვენი პოზიცია როგორია, უნდა შევიდეს თუ არა პარტია საკანონმდებლო ორგანოში?

– დისკუსია გუშინწინ გავხსენით, იქამდე ველოდებოდით ნიკა მელიას ციხიდან გამოსვლას. გაიხსნა დისკუსია და მე ვფიქრობ, რომ ეს არ დასრულდება 1-2 დღეში. ამას დასჭირდება რამდენიმე დღე. იმიტომ, რომ არგუმენტები ორივე მხარეს აქვს, როგორც პარლამენტში შემსვლელებს, ასევე მოწინააღმდეგე მხარეებსაც. მოვისმენთ ყველას პოზიციას და შესაბამის გადაწყვეტილებას იმიღებს პარტია. მაგრამ გადაწყვეტილება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, დავუშვათ, მე მომხრე ვარ და ვიღაცა არ არის მომხრე, არამედ ყველაფერი საბოლოოდ უნდა ავწონ-დავწონოთ იმისთვის, რომ საბოლოოდ მივიდეთ გამარჯვებამდე, ანუ ვადამდელ არჩევნებამდე, რომელიც არის ჩვენი მოთხოვნა.

– გაითვალისწინებთ თუ არა დასავლეთიდან მოწოდებებსაც? სენატორმა რიშმა პარლამენტში შესვლისკენ პირდაპირ მოგიწოდათ.

– აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ის მოწოდებები, რომლებიც დასავლეთიდან გვესმის. იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იყო ჩვენი დასავლელი პარტნიორების პარტნიორი პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, ეს მოწოდებები გათვალისწინებული უნდა იყოს, მათ შორის, ამ დისკუსიები დროსაც. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივალთ კონსენსუსამდე და მივიღებთ გადაწყვეტილებას.

– პირადად თქვენი პოზიცია საით იხრება?

– ჩემი პოზიციაა, რომ უნდა შევიდეთ პარლამენტში.

– რატომ? რა არგუმენტებით მსჯელობთ ამაზე?

– ბოიკოტის ორივე ხელით მომხრე ვიყავი. ეს იყო ოპოზიციის ერთობლივი გადაწყვეტილება, როდესაც მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთ აზრზე იყო. დღეს შეგვიძია ვისაუბროთ, რომ ამ პროცესში, ამ პოლიტიკურ პროცესში ოპოზიციამ გარკვეული ეტაპები გაიარა წარმატებით და ეს იყო ჩვენი ერთიანობის დამსახურება, მაგრამ დღეს უკვე ეს რეალობა შეცვლილია. ის რეალობა აღარ არის, რომ თუ ჩვენი მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, მაშინ ერთპარტიული პარლამენტი დარჩებოდა. ეს უკვე მრავალპარტიული პარლამენტია. ოპოზიციის ნაწილი შევიდა პარლამენტში, მათ მოაწერეს ხელი დოკუმენტს და, შესაბამისად, სულ სხვა რეალობა და მოცემულობაა.

ახლა ჩვენ, ერთი მხრივ, ჩვენ პრინციპებს არ უნდა ვუღალატოთ და ამავე დროს არ უნდა მივცეთ „ქართულ ოცნებას“ საშუალება, რომ მთავარი ოპოზიციური პარტია დატოვოს თამაშგარე მდგომარეობაში. ამას ცდილობს ახლა „ქართული ოცნება“ და მე ვფიქრობ, რომ პარლამენტის ტრიბუნა ნაციონალურმა მოძრაობამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ამ მოცემულობაში.

– გია ბარამიძემ დააყენა იდეა, რომ პრაიმერიზი ჩატარდეს ისეთივე ფორმატით, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აირჩიეთ. ამაზე რას ფიქრობთ?

– ესეც არის ერთ-ერთი ვერსია და განხილვადი ვერსია. იმიტომ, რომ რაც უფრო ფართო წრეები იქნებიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღებაში, უკეთესი იქნება. არის ვერსია, რომ პოლიტსაბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ. რა ფორმით მოხდება გადაწყვეტილების მიღება, ამაზე ალბათ უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით.

– ხატია დეკანოიძემ თქვა, რომ თუ ნაცმოძრაობა პარლამენტს მიღმა დარჩება, მაშინ მუდმივი ცეცხლი იქნება ჩვენსა და სხვა ოპოზიციურ პარტიებს შორისო. თქვენ არ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– 100%-ით ვეთანხმები ხატიას. ეს იქნება, რომ ავტომატურად უკვე დაპირისპირებაში გადავალთ იმ ოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც უკვე არიან პარლამენტში შესულები. შესაბამისად, დაპირისპირების ახალი პოლუსი გაჩნდება. ჩვენი მთავარი ამოცანა ხომ ის არის, რომ დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი და გავისტუმროთ ის ხელისუფლებიდან?! ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება კოორდინირებული მუშაობა სხვა პარტიებთან. თუ დავრჩებით პარლამენტს გარეთ, უკვე გაჭირდება მუშაობა იმ პარტიებთან, რომლებიც პარლამენტში არიან.

– ეს ხომ არ უნდა ბიძინა ივანიშვილსაც?

– რა თქმა უნდა. ეს არის ბიძინას ოცნება. „ქართული ოცნების“ ოცნება ეს არის, რომ ნაციონალური მოძრაობა იხილოს დასუსტებული, არ იყოს პარლამენტში წარმოდგენილი ამ ვითარებაში და იყვნენ სხვა პარტიები მის მაგივრად და ამით შექმნას ოპოზიციის სურათი პარლამენტში. მე ვფიქრობ, რომ ახლა ეს ფუფუნება ნამდვილად არ უნდა მივცეთ „ქართულ ოცნებას“, რომ ნაციონალური მოძრაობა რაღაცნაირად აღმოჩნდეს თამაშგარე მდგომარეობაში.

– დაპირისპირება გქონდათ „სტრატეგია აღმაშენებლთან“. დასრულდა ეს მწვავე დისკუსია?

– ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ალბათ დასრულდება. იმიტომ, რომ ნიკა უახლოეს დღეებში შეხვდება ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერს და მათ შორის გიორგი ვაშაძეს და იმედი მაქვს, რომ საერთო გადაწყვეტილებამდე მივალთ.

– იქნება ნიკა მელია ოპოზიციის თბილისის მერობის საერთო კანდიდატი?

– არა, ამ თემაზე არც გვიმსჯელია. არც პარტიაში და არც ოპოზიციურ ფორმატში.

– განიხილება ეს თემა და, ბუნებრივია, გეცოდინებათ თქვენც.

– რა თქმა უნდა. ჩემი პირადი აზრი თუ გაინტერესებთ, მე მოვიაზრებ ნიკა მელიას, როგორც თბილისის მერობის კანდიდატად, მაგრამ ამაზე ჯერ მელია უნდა იყოს თანახმა და მეორე, ჩვენ არ ვფიქრობთ ასე, რომ ჩვენი კანდიდატი უნდა იყოს აუცილებლად. უნდა მოხდეს შეთანხმებით ოპოზიციურ პარტიებთან ერთად და არა მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატი, არამედ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატიც. გამგებლობის კანდიდატებიც.

– საკრებულოს თავმჯდომარედ ბადრი ჯაფარიძის გვარმა გაიჟღერა.

– რატომაც არა. მე პირადად საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– თქვენ ემხრობით, რომ ყველგან დასახელდეს საერთო კანდიდატები?

– რა თქმა უნდა. ეს უნდა იყოს კოალიციური შემადგენლობა კანდიდატების. იმისათვის, რათა გამარჯვებამდე მივიდეთ. ჩემი აზრით, გამარჯვების ფორმულა ერთიანობაშია, დამარცხების ფორმულა კი – დაცალკევებაში.

– თქვენ ემხრობით, რომ პროპორციულ ნაწილში ცალ-ცალკე გამოხვიდეთ პარტიები, მაგრამ მაჟორიტარულ ნაწილში, მერებისა და გამგებლების ნაწილში კოორდინირებულად იმოქმედოთ და საერთო კანდიდატები გყავდეთ?

– დიახ. დაახლოებით იგივე ფორმულა, რომელმაც მთლიანად საქართველოში არა, მაგრამ თბილისში იმუშავა საპარლამენტო არჩევნებზე. იგივე ნიკა მელიას მაგალითი რომ ავიღოთ გლდანში, მან დაამარცხა კონკურენტი სწორედ იმის გამო, რომ პარტიების კოორდინაცია მოხდა ნიკას გარშემო.

„გახარიამ ივანიშვილს პირდაპირ უნდა დაარტყას“

კახა კუკავა: „მელიასთან მეც ვაპირებ შეხვედრას და ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი მიდგომა. ერთიანობა თუ გინდა, მაშინ ყველასთან უნდა გამონახო საერთო ენა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ბოლო დღეებია გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლება გახარიას კადრებს დევნის. ბოლო ორი დღეა რეგიონებში მერის მოადგილეებს ათავისუფლებენ. საფრთხეს ხედავს „ოცნება“ გახარიაში თუ რა პროცესები მიმდინარეობს?

– სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ წესიერად არც კი ვიცით რა ხდება. მე ვფიქრობ, რომ გახარიასა და საზოგადოებას შორის უკვე ხარვეზია და ეს ერთ-ერთი მინუსია ამ გუნდის. არა კატასტროფული, მაგრამ შეცდომაა.

– რას გულისხმობთ?

– ის პოზა, რომელიც გახარიამ შეარჩია, რომ თვითონ არ ჩანს, კი, გასაგებია, რომ ეს პიარში ცნობილი მეთოდია, რომ დავუშვათ მოლოდინი შექმნა, მაგრამ ამას, ჩემი აზრით, თავისი ზომა და ზღვარი აქვს.

– აგვიანებს გახარია?

– ჩემი აზრით, ძალიან აგვიანებს. ასევე ცოტათი უხერხული პოზაა, თან პოლიტიკურ ლიდერობაზე გქონდეს პრეტენზია და თან ასე იქცეოდე, მოსე ხომ არ არის, აარონით რომ ელაპარაკება საზოგადოებას. ამიტომ რეალურად რას გეგმავს გახარია, არ ვიცით. ხოჯევანიშვილის განცხადებების მიხედვით, საზოგადოება ვერ იმსჯელებს, რა ხდება. უბრალოდ შეგვიძლია ვარაუდი გამოვთქვათ, რომ თუ მარტო იმიტომ აკეთებენ ამ განცხადებებს, რომ პოსტების შენარჩუნება უნდათ, ეს ძალიან სასაცილოა. ოპოზიციაში თუ ხარ, ვიცე-მერები ვერ გეყოლება, ეს გასაგებია. თუ იმიტომ აკეთებენ, რომ რეჟიმს ზიანი მიაყენონ და წარმოაჩინონ მისი ნამდვილი სახე, მაშინ ამას პარლამენტში ასე უბრალოდ გაკეთებული განცხადებები არ უშველის.

– აბა რა სჭირდება ამას?

– მაშინ უნდა გაკეთდეს განცხადებები საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ საქართველოში არის დიქტატურა და ადგილი აქვს პოლიტიკურ დევნას, აი ამას ექნება ფასი. პირადად ჩემთვის, ის განცხადებები, რაც გუშინ გაკეთდა, გასაგები არ არის. ვიცე-მერად კი არა, დამლაგებლად არ დაგინიშნავენ ოპოზიციის წარმომადგენელს, არ ვიცით, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?! თუ აღიარებენ იმას, რომ არანორმალური ქვეყანაა, მაშინ ამაზე უნდა იყვირონ. მიწერონ ევროკავშირს, რომ არის დევნა და არის დიქტატორი! ამას არ ამბობენ. საერთოდ ბიძინა ივანიშვილს ნაკლებად ეხებიან და როგორც მე მრჩება შთაბეჭდილება, ძირითადად კობახიძის ოპოზიციად პოზიციონირებენ, რაც, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა.

– რომელ მხარეს, რა პოზიციას დაიჭერს გახარია, საერთოდ დაარტყამს ივანიშვილს?

– ვერ გეტყვით. ვიტყვი ერთს, რომ დღეს გახარიას რეიტინგი არის ჰიპოთეტური. მას აქვს ძალიან მაღალი რეიტინგი, მაგრამ ეს არის პირობითი. ხალხი ვარაუდობს, რომ ის იქნება ადამიანი, რომელიც ქვეყანას მოაცილებს სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც. სწორედ ამის გამო აქვს ძალიან მაღალი რეიტინგი.

– და შესაძლოა ეს რეიტინგი გაუფრინდეს ხელიდან?

– რა თქმა უნდა. ხოჯევანიშვილმა ორი განცხადება გააკეთა და ორივე განცხადებით დაარტყა გახარიას რეიტინგს. ჯერჯერობით ეს არ არის კატასტროფული, იმიტომ, რომ ხალხმა სულ არ იცის, ვინ არის ხოჯევანიშვილი და მნიშვნელოვანია რას იტყვის თვითონ გახარია. როგორც კი გახარია გამოვა და იტყვის, რომ ის არის კობახიძის ოპოზიცია და არა ივანიშვილის, იქ ჩამოვა ნულზე ყველაფერი. მე მისი გულშემატკივარი ვარ და არ მინდა, რომ შეცდომა დაუშვას. მე შევახსენებ თქვენს მკითხველსაც და გახარიასაც, რა პროცესები ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში 2001 წლიდან 2003 წლამდე. მაშინ ჟვანიამ აირჩია ეს პოზიცია, შევარდნაძეს ბოლომდე არ ურტყამდა და მეორეხარისხოვან პერსონებს უპირისპირდებოდა. ხოლო სააკაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ შევარდნაძე არის ნაგავი და ეს ნაგავი უნდა გავიტანოთ ქვეყნიდან. ვის ჰქონდა რეიტინგი და ვინ მოიგო ამით, ხომ ვნახეთ?!

– ანუ ღიად და პირდაპირ უნდა დაარტყას?

– რა თქმა უნდა! კობახიძე არის ცუდი ბიჭი და ბიძინა არის კარგი ბიჭი, ეგ რეიტინგს არ დადებს, ეგ რეიტინგს გააქრობს. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით არის გაურკვევლობა და მე ვფიქრობ, რომ მაისი არის დედლაინი, რის შემდეგაც შეიძლება დაიწყოს გახარიას ვასაძიზაცია.

– ზოგადად რა მოცემულობა იქმნება პოლიტიკურ ბაზარზე? ნიკა მელია გამოვიდა ციხიდან, ახლა მიდის მცდელობა, ისევ შეკოწიწდეს ეს ოპოზიციური ერთობა. ეს რამდენად გამოვა? ექსპერტთა ერთი ნაწილი საუბრობს, რომ მელიას მერობა არ უნდა და აძალებენო.

– ვიცი, ეს რომელმა ექსპერტმაც თქვა და ვერ დავეთანხმები ამაში გია ხუხაშვილს. ეს არასწორი შეფასებაა. ის ცუდ შეფასებებს არ აკეთებს, მაგრამ ხანდახან მიკერძოებულობა ეტყობა ხოლმე. რა თქმა უნდა, თბილისი მერი არის მთავარი პრიზი და ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. განსაკუთრებით ოპოზიციიდან არჩეული თბილისის მერი ნიშნავს, რომ დამთავრდა ქვეყანაში ძალაუფლების გადაცემა. თბილისის მერი კი არა, საკრებულოს თავმჯდომარეობა მოიგო სააკაშვილმა და საკმარისი აღმოჩნდა ეგ ხელისუფლების შეცვლისთვის და გვესმის, რომ მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შორის კიდევ დიდი სხვაობაა. გახარიასგან განსხვავებით, მელიასგან ძალიან სწორი და მკაფიო მესიჯები მოდის.

– რას გულისხმობთ?

– მე ისიც ვთქვი, რომ არ მომწონდა ნაცმოძრაობის პოზიცია, რაც მათ თავიდან ჰქონდათ ევროკავშირის გირაოსთან დაკავშირებით. ის პოზიცია, რაც მელიას ციხეში ჰქონდა, უფრო ინფორმაციის დეფიციტის გამო იყო. ხოლო რაც ციხიდან გამოვიდა, ჰქონდა ძალიან მკაფიო გზავნილები. ჩვენ ვნახეთ, რომ ნაცმოძრაობის გარკვეული ლიდერები როგორ აბულინგებდნენ სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს და ცდილობდნენ განხეთქილების ჩამოგდებას, მან კატეგორიულად უარი თქვა ამ მესიჯზე და თქვა ძალიან სწორად, რომ შეეხვდები ყველა პარტიის ხელმძღვანელსო, მეც ვაპირებ მასთან შეხვედრას და ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი მიდგომა. ერთიანობა თუ გინდა, მაშინ ყველასთან უნდა გამონახო საერთო ენა. ერთიანობა არ მიიღწევა პოლიტიკური პარტიების ბულინგით.

– გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ნაციონალები პარლამენტში შევლენ?

– რაღაცები არის უკვე ისე, როგორც მოცემულობა. შეიძლება რაღაც საკითხზე დავსვათ კითხვა, ასე იქნება თუ ისე იქნება, ხოლო რაღაცები უნდა მივიღოთ, როგორც მოცემულობა. უპრეცედენტო რაღაც მოხდა, მთელმა დასავლეთმა, ევროპის და ამერიკის პირველმა პირებმა დადეს დოკუმენტი და ახლა ამ დოკუმენტს თუ ხელს არ მოაწერ, მაშინ ამ პარტიამ უარი უნდა თქვას თავის პროდასავლურ იმიჯზე, ნატოზე, ევროკავშირზე, ჩავიდნენ მოსკოვში და გახდნენ პუტინის მოკავშირეები. შეუძლებელია ამ დოკუმენტზე ხელის არ მოწერა. განსაკუთრებით კი მათი მხრიდან.

– საკაშვილი ეჭვიანობს მელიაზეო, ეს რამდენად რეალურია?

– კი ჩანს ეს მომენტი. თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც ჩანს, რომ საკაშვილი არ არის სულელი და მელიას პარტიის თავმჯდომარედ არჩევას მან ხელი არ შეუშალა. ჩემი აზრით, საკაშვილი, თუ მისცემს მელიას კარტბლანშს, ამით მოიგებს საქართველოც, მოიგებს პირადად მისი პარტიაც და მოიგებს თავადაც, როგორც ადამიანი. თუ მელია არ გახდა ოპოზიციის ლიდერი და არ მოიგო ეს არჩევნები, საკაშვილი საქართველოში ვერ დაბრუნდება. არა მგონია, გახარია მას საქართველოში დაბრუნებას უპირებდეს.

– ვის რა შანსი აქვს ადგილობრივ არჩევნებზე? ცალკე გახარია, თუკი ის გააქტიურდება, აქეთ მელიას და დანარჩენ ოპოზიციას, აქეთ მხარეს კი „ქართულ ოცნებას“?

– ვითარება ყოველ წუთს იცვლება. ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის ძირითადი აქტორები. მათ შორის „ქართული ოცნების“ კანდიდატზეც კი ჯერჯერობით კითხვის ნიშნები არის. ორი კვირის წინ, აშკარად ლიდერი იყო გახარია და მელია უფრო აუტსაიდერებში. დღეს ვითარება, როგორც მინიმუმ, გათანაბრდა, შესაძლოა მელიამ ცოტაც გაუსწრო გახარიას. შესაძლოა ორი კვირის შემდეგ ისევ სხვა მოცემულობა იყოს. საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა. დღი ჯერ არ დაწყებულა, ამიტომ ვის რა შანსები აქვს ამ ეტაპზე, რთული სათქმელია. ჯერ კანდიდატები უნდა გამოიკვეთოს. მელია თუ იქნება მხოლოდ პარტიული კანდიდატი, გასაგებია, რომ მას არანაირი შანსი არ ექნება. მან პირდაპირ თქვა, რომ წინასწარ წაგებულ ბრძოლაში მონაწილეობას არ მივიღებო.

– ანუ მას სურს იყოს ერთიანი კანდიდატი და არა მხოლოდ მისი პარტიის?

– რა თქმა უნდა. მას არ გაულანძღია არც ვაშაძე და არც სხვა ოპოზიციური ლიდერები, რასაც გამუდმებით აკეთებენ მისი თანაპარტიელები. ის სწორად და ადეკვატურად უყურებს პროცესებს. ვნახოთ, თვის ბოლომდე ამ ფრონტზე იქნება მეტი სინათლე და მეტი მკაფიოობა.

– შეძლებს „ოცნება“ 43%-ის აღებას?

– რაღაც მომენტში, შესაძლოა, „ოცნება“ მიხვდეს, რომ ამ 43%-ის აღება შეუძლებელია და პირიქით, თვითონ წავიდეს ვადამდელ არჩევნებზე და თავად შეუწყოს ხელი ამ პროცესს. ზოგი იმასაც ამბობს, რომ შესაძლოა სწორედ გახარიას დეპუტატების საშუალებით დაშალოს უმრავლესობა და შემოდგომაზეც კი ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები. ესეც არ არის გამორიცხული.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მელიას დაპატიმრება სრული სიგიჟე იყო“

შალვა ხაჭაპურიძე: „მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენი ფაქტობრივად აღარ გამოაქვთ. არ უნდათ, პროკურატურას და პოლიციას დაეტაკონ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ გვაქვს პოლიტიკური სასამართლო. ბოლო პროცესებმა კი ეს ნათლად აჩვენაო. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის შეფასებები?

– ჩვენ გვახსოვს ნაციონალური მოძრაობის დროსაც, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ისინიც აცხადებდნენ, რომ სასამართლო რეფორმა მიდისო. „ოცნების“ პერიოდში კი საუბარი იყო ე.წ. ტალღებზე. პირველი ტალღა, მეორე ტალღა, იცვლებოდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები. მე თავიდანვე ხმამაღლა ვაცხადებდი, რომ არანაირი ტალღები არ იყო და არც არანაირი რეფორმა არ ტარდებოდა. რეალურად ეს იყო ბლეფი და ის რაღაც კოსმეტიკური ღონისძიებები, რომელიც ტარდებოდა, არაფრის მომცემი არ გახლდათ და რეალურად სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი.

– დღეს რა ხდება?

– დღეს, ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, არსებულმა სიტუაციამ აჩვენა, რომ სასამართლო არა თუ დამოუკიდებელი, პირიქით, იმაზე მეტად დამოკიდებული გახდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ვიდრე ეს როდესმე ყოფილა. 2012-14 წლებში, მართლაც იმატა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ, შეგშურდებოდათ, სასამართლოში ისეთი კარგი მდგომარეობა იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც მოსამართლეთა კორპუსი იბრძვის თავის გადარჩენისთვის. გარკვეული ჯგუფები იყო, ძირითადად სამი ჯგუფი არსებობდა მაშინ. იყო ჩინჩალაძის ჯგუფი, იყო გაბელაშვილის ჯგუფი და კიდევ ერთი მოსამართლე, რომელიც უკვე წასულია სისტემიდან და აღარ მინდა მისი გვარი ვახსენო. იმ პერიოდში მათი მიზანი იყო, რომ თავი გადაერჩინათ, მხოლოდ ეს მიზანი ამოძრავებდათ. ამიტომ საზოგადოებაში სჭირდებოდათ ხმის გავრცელება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. ამავდროულად ვაჭრობდნენ ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამაც იფიქრა და მარტივი გამოსავალი მოძებნა, წავიდა გარიგებაზე. სამი ჯგუფი იყო, ხელისუფლებას ამ სამიდან ერთი უნდა ამოერჩია და ამოირჩიეს ჩინჩალაძის ჯგუფი. დანარჩენი ორი ჯგუფის წევრები გაუშვეს სასამართლოდან. ამას გადაყვა ნინო გვენეტაძეც. ანუ გაიმარჯვა სულ სხვა კლანმა. ხოლო ამის შემდეგ სასამართლო სისტემაში ყველაფერი ჩამოყალიბდა კლანის სახით.

– დღეს სასამართლო მთლიანად პოლიტიკურ პროცესებზეა მიბმული.

– თუ პოლიტიკურ ფიგურაზე მიდის საუბარი, რა თქმა უნდა, მოსამართლე გადაწყვეტილებას აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევით იღებს, მაგრამ ყველა საქმე ხომ პოლიტიკური არ არის?! არის ჩვეულებრივი კრიმინალი, ან სამოქალაქო დავა, მოსამართლე ატარებს იმ პოლიტიკას, რა პოლიტიკასაც მისდევს სახელმწიფო, ანუ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა ტარდება. გამამართლებელი განაჩენი ფაქტიურად აღარ გამოდის. მოსამართლე ფიქრობს, რომ გამამართლებელი განაჩენით უნდა დაეტაკოს პროკურატურას და პოლიციას, ამიტომ თავს არ იტკივებს. თუ ხელისუფლება შეიცვლება, მერე იმათაც დავჭირდებითო.

– საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს?

– რა თქმა უნდა, ასეა. სამწუხაროდ, ეს მოცემულობა გვაქვს.

– ბატონო შალვა, ნიკა მელიამ და გიორგი რურუამ ციხე დატოვეს. საზოგადოებაში აზრი ორადაა გაყოფილი, ნაწილი მათ პოლიტპატიმრებად მიიჩნევს, ნაწილი – კრიმინალებად. რას იტყვით თქვენ? რამდენად აღიარა ევროპამ, რომ პოლიტპატიმრები გვყავდა?

– მე ვუსმენ ორივე მხარის პოზიციას. ნაცმოძრაობა და დანარჩენი ოპოზიცია იძახის, რომ ისინი იყვნენ პოლიტიკური პატიმრები, ხოლო მეორე მხარე ამბობს, რომ არც პოლიტიპატიმრები იყვნენ და მით უმეტეს, გირაოს გადახდა არ ნიშნავდა პოლიტპატიმრად აღიარებასო.

– ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს?

– დიახ. სიმართლე გითხრათ, მე აბსოლუტურად ვეთანხმები ამერიკის კონგრესის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ რაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ დაატრიალეს, ეს საპარლამენტო არჩევნები, მერე ბოიკოტი, გაბუტობანა და სიძულვილის ენით საუბარი, ეს ყველაფერი აწყობდა და პირდაპირ ასხამდა რუსეთის წისქვილზე წყალს. ამითი ბედნიერი იყო მხოლოდ რუსეთი. დღეს ამაზე ხმამაღლა არავინ არ ლაპარაკობს, მაგრამ მოდით ჩვენ ვთქვათ პირველებმა! ორივე მხარეს, როგორც ხელისუფლების ისე ოპოზიციის, გარკვეული პირები მოქმედებდნენ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, რათა ეს არეულობა ყოფილიყო გამოწვეული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ცეერუს ჩარევის შედეგად მოხდა ის, რომ ევროპელები ჩაერთნენ ამ პროცესში. ევროპელები ასე აქტიურად, როგორც წესი, არ ერევიან სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში. ამ ყველაფერში ჩაერია ცენტრალური სადაზვერვო ბიურო, შარლ მიშელიც სწორედ მათი პროდუქტია. ამერიკა რომ ღიად ჩართულიყო ამ პროცესში, ამას მოყვებოდა რუსეთის მხრიდან სერიოზული უკმაყოფილება. ამ შემთხვევაში ნეიტრალური მხარე იყო ევროპა. ევროპამ გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც ევროპის ისტორიაში არ გადადგმულა არასდროს. ბოლოს ისე დასრულდა ეს ყველაფერი, რომ მელიას გირაოც კი გადაუხადეს.

– ჩაითვალა მელია პოლიტპატიმრად?

– რთული სათქმელია, მელია იყო თუ არ იყო პოლიტპატიმარი, ერთს კი ვიტყვი, მისი დაპატიმრება სრული სიგიჟე იყო. სამართლებრივი ნონსენსი იყო და პოლიტიკურად, საერთოდ რა ჭკუას უნდა ემსახურებოდე ადამიანი, ეს გადაწყვეტილება რომ მიგეღო. არაფრის გამფუჭებელი მელია დაიკავეს. რა უნდა ექნა მელიას ამისთანა?! მაგრამ აქ სხვა მიზეზი იყო.

– რა?

– თვითონვე შექმნეს ამით კრიზისი. მე არ მგონია, რომ მელიასგან ტყუილად შეიქმნა ის ფიგურა, ვინც შეიქმნა, ეს სულაც არ არის შემთხვევითი მოვლენა, ან შეცდომა იყო და ან ემოციები? არა! ეს იყო მიზანმიმართულად გაკეთებული, იმისთვის, რომ ქვეყანაში გამოწვეულიყო არეულობა, დაძაბულობა და ეს წყალს ასხავს რუსეთის წისქვილზე.

– მაშინ რა გამოდის, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ორივე რუსეთზე მუშაობს?

– რა თქმა უნდა! ამას წყალი არ გაუვა. საქართველოში, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ორივე მუშაობს რუსეთის ინტერესებისთვის. რუსეთი რასაც ინდომებს, ყოველთვის იმას აკეთებს ჩვენს ქვეყანაში. სწორედ რუსეთის დავალებით ხდებოდა ახლაც ეს ყველაფერი.

– ახლა რა მოხდა, ეს რაუნდი მოიგო ევროპამ და ამერიკამ?

– დიახ, რუსეთს ჩაუშალეს ეს გეგმა, მაგრამ რა გინდათ, მეორე ვარიანტიც აქვს რუსეთს და ახლა ვაშაძე წამოწია წინა პლანზე. რუსეთის

სპეცსამსახურები ერთი და იგივე სცენარით მუშაობენ და ეს ჩვენი ბრიყვი პოლიტიკოსებიც ამ სცენარის შემსრულებლები არიან. გეგმა, სქემა იგივეა, უბრალოდ, გვარებია სხვადასხვა. მე არ ვამბობ იმას, რომ ყველა, ვინც ხელისუფლებასა და ოპოზიციაშია, ყველა რუსეთის აგენტია, ასე არ არის, თუმცა, ვისაც უჯერებენ და ვისაც მიყვებიან, ის რუსეთის თამაშს თამაშობს. ასეთი თითო-ოროლაა, მაგრამ ისინი დებენ გეგმას და დანარჩენები ამ გეგმისთვის ბრმად იბრძვიან, ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვთ, ეს რა მიზანს ემსახურება. ახლა თავის თავს გინდ პოლიტპატიმრები უწოდონ და გინდ სხვა რამ, ორივე მხრიდან ეს იყო რუსული თამაში!

„ოპოზიციამ 20 ივნისის საქმეებზე ამნისტიას მხარი არ უნდა დაუჭიროს“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური კრიზისი მინელდა. პარლამენტის ბოიკოტის მონაწილე ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში საქმიანობს, ნაწილი კი მსჯელობს, შევიდეს თუ არა საკანონმდებლო ორგანოში. დავის საგნად რჩება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებზე ამნისტიის გამოცხადების საკითხი. არსებობს ამნისტიის კანონპროექტის ორი ვარიანტი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

თამარ ჩხეიძე: „ვასაძეს რიონის ხეობის დამცველების დისკრედიტაციის საშუალება არ უნდა მიეცეს“

თამარ ჩხეიძე:

– იმ ბოიკოტმა, რომელიც ოპოზიციამ გამოაცხადა 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თავისი შედეგი გამოიღო. ეს ბოიკოტი, ანუ პარლამენტში არშესვლა, ნიკა მელიას ფაქტორთან ერთად გახდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მძლავრი იარაღი.

– რომელ პრობლემებს მიაქცია დასავლეთმა ყურადღება?

– არჩევნების გაყალბებას, ახალი არჩევნების დანიშვნის საკითხს, ასევე – საქართველოს ხელისუფლების ანტიდასავლურ მიდრეკილებებს. ბოიკოტმა და პირადად ნიკა მელიას მოქმედებებმა თავისი გაიტანა.

– ოპოზიციური ერთობა კი დაიშალა.

– ოპოზიციური ერთობა, სამწუხაროდ, ამ მომენტისათვის დარღვეულია. ეს არის ოპოზიციის იმ ნაწილის ბრალი, რომელმაც სულსწრაფობა გამოიჩინა და იჩქარა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა. რასაკვირველია, შეთანხმება უნდა შემდგარიყო. ეს უნდა მომხდარიყო თავის დროზე, ურთიერთთანხმობით. ოპოზიციას შეეძლო მეტის მიღწევა და შესწორებების შეტანა ამ შეთანხმებაში. ეს არ მოხდა. მივიღეთ ასეთი შედეგი.

– საარჩევნო საკითხზე შეიძლებოდა მეტის მიღება?

– რასაკვირველია. დოკუმენტში ჩაწერილი ფორმულირება, რომელიც ეხება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას, ისევ აკანონებს „ქართული ოცნების“ უპირატესობას. ეს ვერაფერი მიღწევაა.

– შარლ მიშელის მემორანდუმში საუბარია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის შესაძლებლობაზე. ეს არის მიღწევა?

– მიღწევაა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ წინათ ხელისუფლებისთვის ვადამდელი არჩევნების საკითხი წითელი ხაზი იყო. წითელი ხაზი მოიხსნა და ამაზე მინიშნება გაკეთდა. ჯობდა, ეს ბევრად უკეთესი ფორმით გაკეთებულიყო. ადგილობრივ არჩევნებზე მისაღები 43%-ის მიბმა ვადამდელი არჩევნების საკითხზე გაუგებარია.

– აქვს მმართველ პარტიას ამ საბედისწერო 43%-ის აღების საშუალება?

– წესით, სამართლიან პირობებში, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მმართველ პარტიას აქვს მძლავრი ბერკეტები. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს თავისი სპეციფიკა აქვს. ადგილობრივ არჩევნებში (მაჟორიტარულ ნაწილში) მმართველი პარტია რეგიონებში აყენებს ადგილობრივი მაფიოზებისა და საქმოსნების კანდიდატურებს. მათ უადვილდებათ ადგილობრივი მოსახლეობის გადაბირება. ადგილობრივი მაჟორიტარული არჩევნების დროს ეს მექანიზმი უფრო მეტად მუშაობს, ვიდრე საპარლამენტო პროპორციული არჩევნების დროს. იმ დოკუმენტზე, რომელშიც ჩადებულია ეს 43%, ხელი არ მოუწერია მთელ ოპოზიციას. მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას, „ევროპულ საქართველოს“, ლეიბორისტულ პარტიას, თაკო ჩარკვიანს და სხვა. ეს დოკუმენტი არ არის ერთობლივი თანხმობის შედეგი.

– ერთობის დარღვევის მიუხედავად, ოპოზიციაში ბევრი საუბრობს მომავალ კოორდინაციასა და საერთო კანდიდატებზე.

– ყველაფერი დაკარგული არ არის. ყველაზე გონივრული იქნებოდა, რომ ოპოზიციას არჩევნებზე ჰყოლოდა საერთო შეთანხმებული კანდიდატები. ასევე, უმნიშვნელოვანესია გამარჯვების სულისკვეთებისა და გამარჯვების ფონის შექმნა მოსახლეობაში.

– ნიკა მელიას მხრიდან თბილისის მეროობის კანდიდატურაზე რას იტყვით?

– ნიკა მელია არის პოპულარული ლიდერი. მან ბევრი გააკეთა საერთო საქმისათვის. სხვებთან შედარებით ის რეიტინგულია, მაგრამ ამ ნაბიჯს მაინც დაფიქრება უნდა.

– მმართველი პარტიის საარჩევნო ბერკეტები ახსენეთ. „ქართულ ოცნებასაც“ არა აქვს არაფერი გარანტირებული? გარანტირებული რომ ჰქონდეს, დედაქალაქის მეროობის კანდიდატად ნებისმიერს დააყენებდა.

– გამარჯვება გარანტირებული ნამდვილად არა აქვს. იმ 43%-ის აღებაც გაუჭირდება. სიტუაცია მისთვისაც რთული იქნება და ოპოზიციისთვისაც. ოპოზიციისთვის მთავარია მიღებული ხმების დაცვა. ამას სჭირდება უამრავი გამოცდილი და თან მებრძოლი ადამიანი საარჩევნო კომისიებში, ასევე სასიცოცხლოა პოზიტიური განწყობის შექმნა მოსახლეობაში არჩევნებამდე.

– ნაცმოძრაობა მსჯელობს, შევიდეს თუ არა პარლამენტში. საკანონმდებლო ორგანოში კი დავაა ამნისტიის შესახებ კანონპროექტებზე. ერთი ვარიანტი ოპოზიციისაა, მეორე – უმრავლესობის. თქვენი პოზიცია?

– შესვლაზე პარტიები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ბოიკოტმა, როგორც გითხარით, თავისი როლი შეასრულა. ოპოზიციამ, განსაკუთრებით, ნაციონალურმა მოძრაობამ, 20 ივნისის საქმეებზე ამნისტიას მხარი არ უნდა დაუჭიროს. რომც არ შევიდნენ პარლამენტში, ამნისტია გათვალისწინებულია მემორანდუმში. პარტიები დოკუმენტს ხელს აწერენ. არაფრით არ შეიძლება ამ ამნისტიასა და კანონპროექტებზე დათანხმება. სულ ერთია, რომელი კანონპროექტია. მათ შორის განსაკუთრებულ სხვაობას ვერ ვხედავ. ეს არის გავრილოვის ღამის თვალთხარია ჯალათების გათანაბრება უდანაშაულო ადამიანებთან და მათი დაუსჯელობა. ამ პირებზე რომ ამნისტია გამოცხადდეს, მერე 20-21 ივნისის მოვლენებს ვინ გამოიძიებს?! ოპოზიციის მხრიდან ამნისტიის მიღება დიდი შეცდომა იქნება. ვერ წარმომიდგენია, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ ამნისტიას დათანხმდეს.

– პოლიტიკაში ლევან ვასაძის შემოსვლაზე რას ფიქრობთ?

– ეს არის რუსეთის კიდევ ერთი გეგმა. ალბათ, ვასაძე ჩაანაცვლებს ინაშვილს. შესაძლებელია გათამაშდეს კომბინაცია „ქართული ოცნება“ ვასაძესთან“ ერთად. იქნება ასევე სარეზერვო ვარიანტი „გახარია ვასაძესთან“ ერთად. რუსეთი როცა რამეს გეგმავს, ყოველთვის შემუშავებული აქვს სათადარიგო ვარიანტები. ვასაძის შემთხვევაშიც ასე იქნება. მე ის მაფიქრებს, რომ ლევან ვასაძე ერევა ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეების საქმეში. რიონის ხეობის დამცველები დიდ საქმეს აკეთებენ. ნამახვანის ჰესის მშენებლობა ეკოლოგიურად დამღუპველი, ასევე ეკონომიკურად და ენერგეტიკულად წამგებიანია ქვეყნისათვის. ვასაძე რიონის ხეობის დამცველებს მხარდაჭერას უცხადებს და მათ ეტმასნება. ეს ძალიან ცუდია. ამით ის ამ ხალხს აზიანებს. ვასაძეს რიონის ხეობის დამცველების დისკრედიტაციის საშუალება არ უნდა მიეცეს. ამ ადამიანების დისკრედიტაციის მცდელობას სოციალურ ქსელებში სხვებისგანაც ვაწყდები. ეს საწყენია. ეს ადამიანები მადლობას იმსახურებენ. მე ამ პროტესტში რუსულ ინტერესს გამოვრიცხავ. ივანიშვილი „გაზპრომის“ წარმომადგენელი და მეწილეა. რუსეთი რომ ამ ჰესის მოწინააღმდეგე იყოს, ივანიშვილი აქამდე გააჩერებდა პროექტს. რაც უფრო მეტად დაზიანდება ეკოლოგიურად და ეკონომიკურად საქართველო, მით უკეთესი იქნება რუსეთისთვის. ამ ჰესის აშენება დამღუპველია, ხელისუფლება კი ჯიუტად განაგრძობს ამ პროექტის მხარდაჭერას.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ლაშა ჩხარტიშვილი: „სახეახეული „ოცნება“ ტყვეებითა და მძევლებით ვაჭრობას აგრძელებს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ადგილობრივ არჩევნებზე თბილისის მერობის კანდიდატი „ოცნებიდან“ თითქმის გადაწყვეტილია, რომ კვლავ კახა კალაძე იქნება. ოპოზიციას ბევრად უფრო რთულად აქვს საქმე, რადგან ალბათ გაუჭირდება ერთიან კანდიდატზე შეთანხმება. დაიწყო კონსულტაციები?

– მაქსიმალური კოორდინაცია დაგვჭირდება. ერთიან მერობის კანდიდატზე და მაჟორიტარებზე შეთანხმება აუცილებლად მოგვიწევს. პროპორციულ ნაწილში კი ვფიქრობ, პარტიები დამოუკიდებლად უნდა ვიყოთ წარმოდგენილები.

მერთან დაკავშირებით მეორე ტურის შანსი არსებობს, მაგრამ მაჟორიტარების შემთხვევაში, ვინც პირველ ადგილზე გადის, არ აქვს მნიშვნელობა, რა უპირატესობით, გამარჯვებული ის ხდება.

რაც შეეხება კალაძეს, როგორც ჩანს, ის მართლაც უალტერნატივოა „სახეახეულ“ „ოცნებაში“. ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ პრაქტიკული კუთხით მიიღეს, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება. მე არ ვფიქრობ, რომ კალაძე სადმე აპირებდა წასვლას. მას უნდოდა თავისი ამბიციების დაკმაყოფილება ფინანსური თუ თანამდებობრივი კუთხით. ახლა სხვა გზა არ აქვს, უნდა

იყოს კვლავ მერობის კანდიდატი და კიდევ ეცდება ხელი მოითბოს. ისედაც მას დამოუკიდებლად არანაირი პოლიტიკური პერსპექტივა არ გააჩნდა.

ადგილობრივი არჩევნებით, შანსი გაჩნდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოპოვების, მაგრამ პრაქტიკულად 14% ფორის პირობებში გვიწევს ბრძოლაში შესვლა. 43% სჭირდება ხელისუფლებას, მაშინ როდესაც, 57% უნდა მიიღოს ოპოზიციამ, რომ გაიმარჯვოს. ეს არის ამ შეთანხმებით ხელისუფლებისთვის ნაჩუქარი ჰანდიკაპი. სხვა გზა არ არის, უნდა ვიბრძოლოთ.

– როგორ ფიქრობთ, ნიკა მელიას გარეთ ყოფნა რამეს შეცვლის ოპოზიციურ ფლანგზე?

– ნიკა მელია ღირსეულად გამოვიდა. ის არ დათანხმდა ამნისტიას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სრულიად მიუღებელია 20 ივნისის საქმის ამნისტირება. თვით სააკაშვილსაც კი არ უკადრია 7 ნოემბრისა და 26 მაისის დამნაშავეების ამნისტირება. ვანო მერაბიშვილმა ერთ-ერთი ბრალი სწორედ 7 ნოემბერთან დაკავშირებით მოიხადა. გაუგონარია ანტისაოკუპაციო პროტესტის დამრბევთა, თვალების დამთხრელთა პატიება. ჩემთვის სრულიად მიუღებელია იმ სამი პოლიციელის პატიება. ასევე გასაგებია საზოგადოებისთვის, რომ კანონში სახელი და გვარები არ იწერება და ვისაც შეეხება სამომავლოდ პატიება. საუბარია დამკვეთებზე, შემსრულებლებს, ყველას, ყველას შეეხება. ამიტომაც არის მიუღებელი ამნისტიის ეს კანონპროექტი.

– ალტერნატიული პროექტი?

– პარლამენტში შესული ოპოზიციის ნაწილის ალტერნატიული პროექტი შედარებით უკეთესია, მაგრამ ორივე მიუღებელია. ამიტომ, მე ამნისტიის წინააღმდეგი ვარ. ამ შეთანხმებამ რაღაცები მოიტანა, მაგრამ ნაადრევი და ნაჩქარევი აღმოჩნდა ჩვენი კოლეგების მოლოდინი ხელისუფლებასთან მიმართებით. ფაქტია, ტყვეებითა და მძევლებით ვაჭრობა გრძელდება. პოლიტიკური ოპონენტების დაშინება ერთ-ერთი მთავარი იარაღია ასეთ დროს.

გიგი უგულავას შემთხვევა სხვა არაფერია თუ არა დატყვევებით ვაჭრობა. მე, როგორც აქტიურ მოქალაქეს, თავის დროზე, ძალიან ბევრი მიკრიტიკებია გიგი უგულავა, როგორც დედაქალაქის მერი და ვთვლი სამართლიანადაც, მაგრამ ჭკუათმყოფელმა ადამიანმა როგორ შეიძლება დაიჯერო, რომ გიგი უგულავამ ძიუდოში ევროპის ვიცე-ჩემპიონს სცემა და ამიტომ პასუხი უნდა აგოს. ამ კონკრეტულ საქმეში ის ნამდვილად არის პოლიტიკური დევნის მსხვერპლი.

საქმეები აღძრული და თაროზეა შემოდებული სხვა პოლიტიკურ ლიდერებზე. მათ შორის, ჩემზეც არის სისხლის-სამართლის საქმე აღძრული გამოსახლების საქმეზე, როდესაც ერთ-ერთ მოქალაქეს ვიცავდი. აღარაფერს ვამბობ პატიმრობაში მყოფ გიგი წულაიაზე, რომელსაც წინასწარი პატიმრობა ისე გაუგრძელეს, რომ სასამართლო პროცესიც კი არ ჩატარებულა ლოკდაუნის გამო. მოსამართლემ სასამართლო სხდომა დისტანციურად, ინტერნეტით ჩაატარა და წინასწარი პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივა. მიზეზი სრულიად მარტივია, რომ არ მომხდარიყო შეკრება, პროტესტი გიგი წულაიას პატიმრობის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილი განცხადების გამო ზის დღეს ციხეში.

ჩვენ ვითხოვთ გიგი წულაიას თავდებობით განთავისუფლებას და ეს კამპანია უკვე დაწყებულია. ხელმოწერებს შევაგროვებთ და მივმართავთ ამ მოთხოვნით პროკურატურას. ცხადია, პროკურატურა არაფრის შეგონებას არ აპირებს, მაგრამ ჩვენ პროცესი დავიწყეთ და არ ვაპირებთ გაჩერებას.

პროტესტი, აქციები გარდაუვლად გაგრძელდება. წარმოგიდგენიათ, ადამიანებს ვაქცინაცია უნდოდეთ და ქვეყანაში საკმარისი ვაქცინა არ იყოს. ვაქცინაციის მხრივ ბოლო ათეულში ვართ და ეს არ არის ხალხის ბრალი. ჩინური ვაქცინაც კი საკმარისი რაოდენობით არ გვაქვს.

„თუ ირანი ჩაერთო, ეს იქნება ისრაელ-ირანის ომი“

ვახტანგ მაისაია: „ის, რაც ისრაელში ხდება, წინასწარ იყო დაგეგმილი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ისრაელ-პალესტინის სარაკეტო დაპირისპირებით ახლო აღმოსავლეთში ახალი ომის კერა ხომ არ გაჩნდა? შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ?

– როგორც ჩანს, ახალი ომის დაწყების ვარიანტია იმიტომ, რომ ორივე მხარე საკმაოდ სერიოზულადაა განწყობილი. საომარი მოქმედებები უკვე დაწყებულია. „ჰამასის“ ლიდერმა გამოაცხადა აჯანყების (ინტიფას) დაწყების შესახებ და მოუწოდა იმ არაბებს, რომლებიც ისრაელის ტერიტორიის შიგნით ცხოვრობენ, აჯანყება დაიწყონ. პირველად ხდება, როდესაც ისრაელის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაბებს აჯანყებისკენ მოუწოდებენ.

თუმცა, ინტიფა ახალი მეთოდი არ არის. ინტიფა 1987 წელს პალესტინელებმა დაიწყეს და ორი წელი გრძელდებოდა. არაბები მიიჩნევენ, ეს არის სახალხო აჯანყება. ეს გაკეთდა იმისათვის, რომ პალესტინას თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ვარიანტი მიეღო. ამ ინტიფას მოჰყვა ის, რომ 1993 წელს გაფორმდა ცნობილი ოსლოს ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს იცხაკ რაბინმა და იასირ არაფატმა. შემდგომში ორივემ მშვიდობის დამყარებაში ნობელის ლაურეატის წოდება მიიღო. 1993 წლის ოსლოს ხელშეკრულებით, ღაზას სექტორში და რამანის ტერიტორიებზე პალესტინის პოლიტიკური ავტონომია შეიქმნა.

– ისრაელის შემადგენლობაში.

– ისრაელის შიგნით. ტერიტორია ანკლავშია და პოლიტიკური ავტონომია აქვს, სადაც პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია იყო. შემდეგ პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ პოზიციები დათმო და ღაზას სექტორში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო რადიკალურმა დაჯგუფებამ „ჰამასმა“. ეს არის ყველაზე რადიკალური ჯიჰადისტური დაჯგუფება, რომელსაც ამერიკელები ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ. ღაზას სექტორში ვითარებას დღეს ისინი აკონტროლებენ.

ავტონომიის შექმნის შემდეგ, ვითარება თითქოს ჩაწყნარდა, რთული ვითარება არ იყო. რთული ვითარება ლიბანში იყო, როცა ისრაელი ორჯერ შეიჭრა ლიბანში „ჰესბოლას“ მიმართულებით. „ჰესბოლა“ ლიბანის მმართველი პოლიტიკური ძალაა, შიიტური დაჯგუფება, რომელსაც მხარს უმაგრებს ირანის ისლამური რესპუბლიკა. ირანი „ჰამასსაც“ უჭერს მხარს. ირანის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ ირანიც აღარ გაჩუმდება და ამ კომფრონტაციაში ისიც ჩაერთვება.

სიტუაცია ძალიან დაიძაბა და რთულად ვითარდება. პირველად მოხდა, რომ ისრაელის ორი ქალაქი დაიბომბა, 600 რაკეტა გაუშვეს. ასეთი რამ არ მახსოვს. ღაზას სექტორიდან პირდაპირ მოხდა თავდასხმა ისრაელის ორ მთავარ ქალაქზე. დაღუპულია 40-ზე მეტი ადამიანი, 200-ზე მეტი დაჭრილია. აფეთქებულია მთავარი გაზსადენი, რომელიც ისრაელს გაზით ამარაგებდა. მხარეები, ჯერჯერობით, უკან არ იხევენ. ისრაელმა გამოაცხადა მობილიზაცია. საჰაერო ძალები მოყვანილია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. ფაქტობრივად, უკვე საბრძოლო მოქმედებები ვითარდება ქალაქ ოდშიც, სადაც ადგილობრივმა არაბებმა და ებრაელებმა სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყეს. შეყვანილია საარმიო ნაწილები, ანუ ძალიან სერიოზული სიტუაციაა.

– საინტერესოა ის ფაქტი, რამაც განაპირობა კონფლიქტის განახლება.

– ფორმალურად, კონფლიქტის ესკალაცია ისრაელის ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის თანახმად, დასავლეთ იორდანიის სანაპიროზე 6 არაბული ოჯახი ამ ტერიტორიებიდან უნდა გადაესახლებინათ. ამან გამოიწვია პალესტინელების გულისწყრომა. ალაქსის მეჩეთში მათ დაიწყეს მასობრივი გამოსვლა, შემდეგ ეს პროცესი ისრაელის პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

თუმცა, ისეთი აზრი მრჩება, პალესტინელები და „ჰამასის“ დაჯგუფება წინასწარ ამზადებდნენ სიტუაციას. როგორც ჩანს, წინასწარ ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ და მათთვის სასურველ დროს ელოდებოდნენ.

– რაში სჭირდება ისრაელს არაბი ოჯახების გადასახლება?

– იქ ისრაელი უსაფრთხოების ზონების შექმნას აპირებს. ისრაელის პოლიცია ცდილობს, ეს ტერიტორია ებრაელებით იყოს დასახლებული. ისრაელი ცდილობს, არაბულ და ებრაულ მოსახლეობას შორის, ბუფერული ზონა შექმნას ქალაქ იერუსალიმში, რომელიც ისრაელმა საკუთარ დედაქალაქად გამოაცხადა.

– სხვათა შორის, იერუსალიმისაგან ღაზას სექტორი საკმაოდ მოშორებულია.

– დიახ, მოშორებულია. ფაქტობრივად, ეგვიპტის საზღვართანაა. ღაზას სექტორი არის ანკლავი, რომელსაც გასასვლელი აქვს ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით. სულ რაღაც 50 კილომეტრში ეგვიპტის საზღვარია. ჩანს, ჰამასსა და სხვა ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული შეტევის განხორციელება, რადგან 600 რაკეტის მობილიზაცია ასე იოლად არ ხდება. ელემენტარულ მიზეზს ელოდებოდნენ და მიზეზიც მოინახა.

საინტერესო მომენტია, რომ ისრაელის უზენაესი სასამართლო 6 არაბი ოჯახის გასახლების საკითხს იხილავდა. შეიძლებოდა უზენაეს სასამართლოს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება გაებათილებინა და პალესტინელთა ოჯახები დაებრუნებინა. არ დაელოდნენ, რაც დიდ ეჭვს იწვევს. დალოდებოდნენ ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, ისრაელი დემოკრატიული სახელმწიფოა, იქ, როგორც ებრაელი, ისე არაბი მოქალაქეების უფლებას თანაბრად იცავენ.

– ანუ შესაძლებელია ისრაელში არაბებმა თავისი უფლებები დაიცვან?

– რა თქმა უნდა. შესაძლებელია ისრაელის უზენაეს სასამართლოს არაბი მოქალაქეების სასარგებლო გადაწყვეტილება მიეღო. იქ არაბი მოსახლეობა ისეთივე უფლებებით სარგებლობს,

როგორც – ებრაული. მათ აბსოლუტურად თანაბარი უფლებები გააჩნიათ. პოლიტიკური დაპირისპირება აქვთ, მაგრამ ეს სხვა საქმეა.

– ანუ ისრაელში სასამართლო პოლიტიზირებული არ არის?

– რა თქმა უნდა, არ არის. ყოველ შემთხვევაში, ადრე არ ყოფილა პოლიტიზირებული. ამიტომ, ვფიქრობ, ეს შეტევა მზადდებოდა და დაიწყო შეტევა სისტემურად და მიზანმიმართულად. ახლა გამოაცხადეს საერთო-სახალხო აჯანყება. ეს უკვე იმას ნიშნავს, ყველაფერი წინასწარ მზადდებოდა. უბრალოდ, რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებს საბაბი სჭირდებოდათ.

– პალესტინის რომელიღაც ლიდერმა განაცხადა, რომ მზად არიან ომისთვისაც და მოლაპარაკებისთვისაც.

– კი, მაგრამ, ჯერჯერობით, საომარ მოქმედებებში არიან. შეიძლება სიტუაცია უფრო გაუარესდეს. თუ კონფლიქტში ირანი ჩაერთო, ჩაერთვება „ჰეზბოლა“ და კონფლიქტი ლიბანის ტერიტორიაზეც გავრცელდება იმიტომ, რომ „ჰეზბოლას“ და „ჰამასს“, ორივეს ირანის ისლამური რესპუბლიკა აფინანსებს. როგორც ჩანს, ირანელები პირდაპირ მოეფინნენ სირიას. სანამ სირიაში ირანელები არ გამოჩნდებოდნენ, ირანსა და ისრაელს შორის სერიოზული ზღვარი იყო. მას შემდეგ, რაც ირანელები გამოჩნდნენ სირიაში, ფაქტობრივად, ირანელების გეოსტრატეგიული ინტერესები პირდაპირ ისრაელს მიებჯინა. ირანისა და ისრაელის ომი ჰიპოთეტურად შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ შორსმსროლელი შეიარაღების კუთხით, დღეს კი სავსებით რეალურია.

– ლიბანშიც იყო გარკვეული მოძრაობები.

– შეიძლება „ჰეზბოლაც“ ჩაერთოს, „ჰამასის“ ძალებიც, ირანის დაჯგუფებაც, გაერთიანებულად შეუტიონ და საქმე ირან-ისრაელის ომამდე მივიდეს.

– ისრაელი მუსლიმანური სახელმწიფოების რკალშია მოქცეული.

– ასეა. ბოლო დროს ისრაელმა სპარსულ და არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დათბობასა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას მიაღწია. ჩანს, ეს გარკვეულ ძალებს არ მოეწონათ. არ უნდოდათ ისრაელისთვის ახალი ეტაპი დაწყებულიყო და განვითარებულიყო. „ჰამასის“ ლიდერმა აბუ ხაიამ პირდაპირ მოუწოდა იმ ქვეყნებს, რომლებმაც ისრაელთან ურთიერთობა დაამყარეს, ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვიტონ.

– როგორ ფიქრობთ, რა პოზიციას დაიჭერენ სხვა სახელმწიფოები?

– რუსეთმა და თურქეთმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს. ლავროვმა და ჩავუშოღლუმ ისრაელის მოქმედება მკაცრად გააკრიტიკეს. ისინი აშკარად პალესტინელების მხარეზე არიან.

– ორი ბანაკი იკვეთება. ამერიკა, ინგლისი და სხვები ისრაელს უჭერენ მხარს.

– ერდოღანმა ისრაელს ტერორისტული ქვეყანა უწოდა. თვითონ ერდოღანმა ისრაელს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა.

– როგორც ჩანს, მუსლიმანებს დაუჭირა მხარი და სხვა პოზიციას არც უნდა ველოდოთ, მაგრამ რუსეთს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან, ახლა რატომ აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მხარეს.

– რუსეთს თავისი ინტერესები აქვს. ისრაელი რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირეს, ასადის რეჟიმს ეომება. ისრაელის გამოისობით, რუსეთის ან-26 ტიპის თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული და 30 რუსი სამხედრო დაიღუპა. ჩანს, რუსები ამას ისრაელს არ აპატიებენ. რუსებსაც იქ თავისი ინტერესები გააჩნიათ.

– იმის პროგნოზირება ძნელია, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, მაგრამ თქვენ რას ელოდებით?

– მე უფრო სიტუაციის ესკალაციას ველოდები. ვითარება იქამდე მივიდა, რომ ირანისა და ისრაელის ომი რეალურია. თუ ლიბანი და „ჰეზბოლა“ ჩაერთო, ირანიც ჩაერთვება. მისი საექსპედიციო კორპუსი, რომელიც სირიაშია, ისრაელზე შეტევას განახორციელებს. ირანის ისლამური გუშაგთა კორპუსი არის ირანის დამრტყმელი ძალა. მისი ნაწილები ძირითადად სირიაშია.

– ტრამპმა განაცხადა, რომ არასაკმარისი იყო ამერიკის მხარდაჭერა ისრაელისადმი.

– გასაგებია. ტრამპს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან. ბაიდენმა კი ეს დამოკიდებულება შეცვალა. შეშფოთება გამოხატა, მაგრამ ამერიკა აქტიურად ჩართული არ არის.

– ანუ ტრამპი ისრაელს აქტიურად დაეხმარებოდა.

– დიახ. ბაიდენი ცდილობს ბალანსი დაიცვას. სანამ მოხდებოდა პალესტინისა და ისრაელის კონფლიქტი, მანამდე ამერიკის სტრატეგიულ ობიექტებზე კიბერშეტევა განხორციელდა. დაზიანდა სერიოზული გაზსადენები და მილსადენების ქსელი. ამან ამერიკის ეკონომიკას შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს. ამერიკის მთავრობა რუსეთის ხელისუფლებას პირდაპირ ხელს ვერ ადებს, მაგრამ ამბობს, რომ კიბერშეტევა რუსეთის კერძო სტრუქტურამ განახორციელა.

– როგორ ფიქრობთ, არაბებს ფიზიკურად დაეხმარებიან?

– ირანმა თავისი პოზიცია გამოხატა, რომ ჩუმად არ იქნება. თუ ირანი ჩაერთო, ეს იქნება ისრაელ-ირანის ომი, რადგან „ჰამასს“ აფინანსებს ირანის ისლამური რესპუბლიკა. იარაღიც ძირითადად ირანიდან მიდის.

კახა კოჟორიძე: „ახლანდელმა „რუსთავი 2“-მა მთელი ქონება გადამალა“

ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი სამართლებრივ ბრძოლას აგრძელებენ

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის ადვოკატი კახა კოჟორიძე ტელეკომპანიის დღევანდელ მმართველებს მიმართავს, სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაასაჯაროონ.

როგორც კოჟორიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სააქციო საზოგადოების შექმნის შემდეგ „რუსთავი 2“-ის მფლობელებმა ტელეკომპანიის ავტორიზაცია გააუქმეს და დღეს ამ სახელით მაუწყებლობს არა ტელეკომპანია „რუსთავი 2“, არამედ მედია ჰოლდინგი.

ამასთან, კოჟორიძის ინფორმაციით, მედია ჰოლდინგში შემავალ „პრაიმ ტაიმს“, წესდების მიხედვით, აქვს უფლება მართოს სააქციო საზოგადოების მთელი ქონება „რუსთავი 2“-ის ინფორმირების გარეშე.

ადვოკატის თქმით, „რუსთავი 2“-ის მმართველებმა ეს ქმედებები განახორციელეს, რათა 60%-იანი წილის დაკარგვას თავი აარიდონ.

– როგორც ჩანს, ჩვენმა მოწინააღმდეგე მხარემ, ხალვაშმა, მმართველებმა და მათ უკან მდგომმა ადამიანებმა, დაინახეს რეალური საშიშროება, რომ ჩვენი სარჩელის მყარი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი არსებობს. ბევრად უფრო მყარი, ვიდრე ეს იყო ქიბარ ხალვაშის სარჩელი 2015 წელს. ამიტომ გადაწყვიტეს კანონდარღვევით, თვალთმაქცური და რიგ შემთხვევაში, სავარაუდოდ, დანაშაულებრივი გზებით გადამალონ „რუსთავი 2“-ის საკუთრება – უძრავი და მოძრავი ქონება.

„რუსთავი 2“-ს გაუუქმეს ავტორიზაცია. დღეის მდგომარეობით, „რუსთავი 2“-ის სახელით მაუწყებლობს არა ტელეკომპანია „რუსთავი 2“, არამედ მედია ჰოლდინგი. ეს მედია ჰოლდინგი არის სააქციო საზოგადოება, რომელიც შექმნილია დაახლოებით 2 თვის წინ. დეტალები საზოგადოებისთვის არ მოუწოდებიათ და ამ დეტალებშია ეშმაკი დამალული.

შეიქმნა სააქციო საზოგადოება. აქცია არის 100. ამ 100 აქციიდან 90 აქციის მესაკუთრეა „პრაიმ ტაიმი“, ხოლო 10 აქციის მესაკუთრეა „რუსთავი 2“. მმართველებმა „რუსთავი 2“-ს გაუუქმეს ავტორიზაცია, რაც მიიღო მედია ჰოლდინგმა.

ამავე დროს, არის კაბალური წესდება, მსგავსი წესდება არ მახსოვს. „პრაიმ ტაიმს“ აქვს სრული უფლება, „რუსთავი 2“-ის არა თუ ჩართულობის, არამედ ინფორმირების გარეშე განკარგოს სააქციო საზოგადოების მთელი ქონება, მათ შორის, „რუსთავი 2“-ის მიერ შეტანილი თუ მომავალში შეტანილი ქონება სრულად ისე, რომ „რუსთავი 2“-ის არანაირი ჩართულობა არ უზრუნველყოს.

ასევე, დღეის მდგომარეობით, ის შრომითი კონტრაქტები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს ჰქონდათ ტელეკომპანიასთან, გაუქმდა და ჩანაცვლდა სააქციო საზოგადოებასთან დადებული კონტრაქტებით.

ჩვენ გვინდა მივმართოთ „რუსთავი 2“-ის დღევანდელ მმართველებს კითხვებით, რომ საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ: რა აუცილებლობა არსებობდა „რუსთავი 2“-ის მაუწყებლობის ავტორიზაციის გაუქმების. ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

იმ შემთხვევაში, თუ „პრაიმ ტაიმი“ გადაწყვეტს, რომ „რუსთავი 2“-ის მიერ შეტანილი თუ მომავალში შეტანილი ქონება განკარგოს, გაასხვისოს, გაანიავოს, რა სამართლებრივი ბერკეტები არსებობს ამ მოქმედების შესაჩერებლად წესდების თანახმად?

ეს კითხვები რიტორიკულია, რადგან პასუხები ნათელია, რომ არანაირი სამართლებრივი ბერკეტები არ არსებობს.

კითხვები გვაქვს ასევე საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებთანაც – რაც გააკეთეს „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეებმა და მმართველებმა, თუ ამის უფლება მათ ჰქონდათ, გამოდის, რომ ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც აქვს ბიუჯეტის მიმართ მრავალმილიონიანი დავალიანება, შეუძლია შექმნას სხვა იურიდიული პირი, იმას გადასცეს აქტივები და ამ ფორმით აარიდოს თავი გადასახადების გადახდას.

თუ ეს იყო ლეგიტიმური მოქმედება, ვსვამ კითხვას, აქვს თუ არა იგივე ლეგიტიმური ქმედების განხორციელების უფლება საქართველოში მოქმედ სხვა იურიდიულ კომპანიებს. თუ აქვთ და ეს იყო ლეგიტიმური მოქმედება, მაშინ ბიუჯეტი რანაირად აზღვევს მის წინაშე არსებული მრავალმილიონიანი დავალიანების გადახდას. ესეც რიტორიკული კითხვაა. ცხადია, საფინანსო ორგანოებმა ამაზე რეაგირება უნდა მოახდინონ, – განაცხადა კოჟორიძემ.

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები სამართლებრივ ბრძოლას განაგრძობენ.

– მიუხედავად არსებული სირთულეებისა, გავაგრძელებთ სამართლებრივ ბრძოლას და ყველა ის უკანონო მოქმედება, რასაც „რუსთავი 2“-ის დღევანდელი მესაკუთრეები თუ მმართველები ახორციელებენ, მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ჩვენი ინტერესების სასარგებლოდ იქნება გამოყენებული, – განაცხადა კახა კოჟორიძემ მედიაცენტრ „მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

სტრასბურში სააკაშვილის, მელიას და უგულავას საჩივრების განხილვას მინიმუმ 2 წელი დასჭირდება

იუსტიციის სამინისტრო სტრასბურის სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის, ნიკანორ მელიას და გიგი უგულავას საჩივრების განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული, სამივე საქმე განხილვის საწყის ეტაპზეა და ახლა იწყება მხარეების მიერ მტკიცებულებების წარდგენა.

„იუსტიციის სამინისტრო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა ფარგლებშიც მიხეილ სააკაშვილი, ნიკანორ მელია და გიგი უგულავა საქართველოს უჩივიან, პროცედურებს განმარტავს და აცხადებს, რომ სამივე საქმე განხილვის საწყის ეტაპზეა და ახლა იწყება მხარეების მიერ პოზიციებისა და მტკიცებულებების წარდგენა.

საქართველოს მთავრობას სამივე საქმეზე აქვს მყარი არგუმენტები, რომლებსაც ევროპულ სასამართლოში წარადგენს. სამივე მომჩივნის საქმეს – სააკაშვილი, მელია და უგულავა საქართველოს წინააღმდეგ – სტრასბურის სასამართლო სტანდარტული პროცედურით განიხილავს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო მომჩივნებისგან და საქართველოს მთავრობისგან მიიღებს 2-2 წერილობით პოზიციას მტკიცებულებებთან ერთად და ამის საფუძველზე გადაწყვეტილებას გამოიტანს.

მხარეების მიერ პოზიციების გაცვლას და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, სულ მცირე, 2 წელი დასჭირდება.

მიხეილ სააკაშვილი დავობს, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელების შეწყალების გამო მის მიმართ დამდგარი განაჩენი ევროპულ კონვენციას ეწინააღმდეგება. ევროპული სასამართლო საკუთარ კორესპონდენციაში უთითებს, რომ ეს სწორედ ის საქმეა, რომელზეც თავად სტრასბურის სასამართლომ დაუდგინა საქართველოს დარღვევა 2011 წლის 26 აპრილს საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“.

სააკაშვილი აგრეთვე მიიჩნევს, რომ ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოა საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც დადასტურდა, რომ 2005 წლის 14 ივლისს პარლამენტის წევრის, ვალერი გელაშვილის, სასტიკი ცემა მიხელ სააკაშვილის პირადი დავალებით განხორციელდა, რის გამოც მას მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნიკანორ მელიას მტკიცებით, 2021 წლის 23 თებერვალს მისი დაკავება არ შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. სასამართლო საქართველოსთვის გამოგზავნილ კორესპონდენციაში აღწერს, რომ მელიას დაკავებას წინ უძღოდა 2020 წლის 1 ნოემბერს მის მიერ სამაჯურის მოხსნა და შემდეგ გირაოს გადახდაზე უარის თქმა, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მელიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გიგი უგულავა საჩივარში დავობდა საქართველოში მის მიმართ დასრულებულ და მიმდინარე ყველა სისხლის სამართლის საქმეზე: 1) ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის ეპიზოდი, რომლის ფარგლებში უგულავა მსჯავრდებულია სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისებაგაფლანგვისთვის; 2) ე.წ. რიყის ეპიზოდი; 3) ე.წ. თბილსერვისჯგუფის ეპიზოდი, რომლის ფარგლებშიც უგულავა მსჯავრდებულია უფლებამოსილების გადამეტებისთვის; 4) 2019 წლის 11 დეკემბერს თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტი, რომლის ფარგლებშიც უგულავა ბრალდებულია ძალადობის გამო.

2021 წლის მდგომარეობით სტრასბურის სასამართლო განიხილავს 64.850 საქმეს. ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად შემცირდა საქართველოს მიმართ შესული საჩივრების რაოდენობა. კერძოდ, სტატისტიკის თანახმად, 2011 წლისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაში იყო საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 3.045 საქმე, ხოლო 2020 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით, ევროპული სასამართლო საქართველოსთან მიმართებით მხოლოდ 532 საქმეს განიხილავს“ – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პატიმრის თვითმკვლელობის გამო ციხის თანამშრომელს ბრალი წარედგინა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს ბრალი წარედგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ავრცელებს.



სპეციალური პენიტენციური სამსახურის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული, პატიმრობაში მყოფი ერთ-ერთი ბრალდებული, მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლის 30 ივნისიდან 24 საათიანი ვიდეომონიტორინგის ქვეშ იმყოფებოდა. 2020 წლის 12 ივლისს, აღნიშნული პატიმარი იმყოფებოდა სააბაზანო ოთახში, სადაც სამეთვალყურეო ვიდეოკამერები განთავსებული არ არის.

„პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 01 აგვისტოს მე-200 ბრძანებით, მე-8 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მთავარ მორიგე ინსპექტორს ვიდეომონიტორინგს დაქვემდებარებული ბრალდებულისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ევალებოდა.

მიუხედავად ამ ვალდებულებისა, პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მთავარმა ინსპექტორმა, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა. კერძოდ, სააბაზანო ოთახში მყოფი ბრალდებული, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, უყურადღებოდ დატოვა, როდესაც ბრალდებულმა საშხაპე ოთახში სუიციდი განახორციელა.

გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 2020 წლის 12 ივლისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მე-8 დაწესებულებიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო – სამსახურში დადგენილი წესის არაჯეროვანი შესრულება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ათობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, კერძოდ: დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტები, ამოღებული იქნა ნივთიერი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია, გამოთხოვილი იქნა ვიდეოჩანაწერები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, გამოიკითხა 70-ზე მეტი პირი, ჩატარდა სამედიცინო, ხელწერის, საბუთების ტექნიკური, ტრასოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზები.

2021 წლის 11 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მე-8 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მთავარი ინსპექტორის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით – სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია – სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

აღნიშნული ბრალდება პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მთავარ ინსპექტორს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა წარუდგინა.

სპეცოპერაცია ვაკეში

პოლიციამ დავით იმნაძე დააკავა

გუშინ, 12 მაისს, თბილისის სხვადასხვა უბანში რამდენიმე პიროვნება დააკავეს. სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

სამართალდამცველები მობილიზებულები იყვნენ ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე, სადაც ერთ-ერთი შეიარაღებული პირი გადაადგილდებოდა.

დაკავებული დავით იმნაძეა. პოლიციამ თამარაშვილის გამზირზე იმნაძის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკა.

აბაშიძის ქუჩის მცხოვრებლები ტვ პირველთან სპეცოპერაციის ჩატარების ფაქტს ადასტურებენ.

შსს იმნაძის დაკავების ფაქტს ადასტურებს.

უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლების მიერ, ზუგდიდის რაიონში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯამში 550 კოლოფი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო ტრანსპორტირების 2 ფაქტი გამოვლინდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი. აღნიშნულ ფაქტებზე, სამართალდამრღვევი მოქალაქეების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155^2 მუხლის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, ხოლო საქმეთა მასალები სასამართლოს ქვემდებარეობის მიხედვით გადაეგზავნა.

აწყურში სატვირთო ამოტრიალდა

11 მაისს აწყურის ავტომაგისტრალზე სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოყირავდა.

ადგილზე პოლიციის ეკიპაჟი იყო მობილიზებული. ადგილზე სპეცტექნიკა მუშაობდა.

გადაყირავებული მანქანის ტვირთი სხვა ტრაილერში გადაიტანეს.

ავარიის გამო ცენტრალური მაგისტრალის ნაწილი გადაკეტილი იყო.

იყალთოში ავარიაში 27 წლის ფირუზ ლომაშვილი დაიღუპა

11 მაისს, გვიან ღამით ტრაგედია დატრიალდა კახეთში. კომენდანტის საათისას მომხდარ ავარიას ახალგაზრდა კაცი ემსხვერპლა.

სოფელ იყალთოში სწრაფად მოძრავი მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მოცურდა და ხეს შეეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ჯგუფი, თუმცა ახალგაზრდის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გარდაცვლილი სოფელ იყალთოს მკვიდრი, 27 წლის ფირუზ ლომაშვილია.

ის „გოლფის“ ტიპის ავტომობილს მართავდა, როდესაც ეს ტრაგედია დატრიალდა.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

საერთაშორისო

ისრაელმა ღაზას სექტორში ასობით საჰაერო დარტყმა განახორციელა

გუშინ, 12 მაისს, ისრაელმა ღაზას სექტორში ასობით საჰაერო დარტყმა განახორციელა პალესტინელებმა კი ისრაელის მიმართულებით უამრავი რაკეტა გაისროლეს.

ანკლავის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღაზაში ორშაბათიდან 49 ადამიანია დაღუპული, ისრაელის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ღაზადან განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმებს 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ბენი განცმა განაცხადა, რომ ისრაელის ძალებმა „ასობით სამიზნეს“ დაარტყეს და ღაზაში „ჰამასის“ მაღალი რანგის მებრძოლები გაანადგურეს.

– ისრაელის სამხედროები განაგრძობენ შეტევას და უზრუნველყოფენ სრულ და გრძელვადიან მშვიდობას. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ შეგვიძლია სიტუაციის დაწყნარებაზე ვისაუბროთ, – აღნიშნა ბენი განცმა.

ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით ორშაბათ საღამოდან 1.000-ზე მეტი რაკეტა და საარტილერიო ჭურვი ისროლეს.

ისრაელის თავდაცვის ძალების პრესსპიკერის, ჰიდაი ზილბერმანის განცხადებით, საჰაერო თავდაცვის სისტემა „რკინის გუმბათმა“ დასახლებული ადგილებისკენ გასროლილი რაკეტების 85-90 პროცენტი გაანეიტრალა.

ზილბერმანის ინფორმაციით, სარაკეტო თავდასხმის საპასუხოდ ისრაელმა ღაზას სექტორში იერიში „ჰამასის“ 500-მდე სამიზნეზე მიიტანა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტის ესკალაციის გამო შეშფოთება გამოთქვა.

– ორივე მხარეს მოვუწოდებთ თავშეკავებისკენ! – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნედ პრაისმა.

რომის პაპმა ფრანცისკემ მოსახლეობასთან ტრადიციული აუდიენციები აღადგინა

რომის პაპმა ფრანცისკემ ვატიკანში, მოსახლეობასთან ოთხშაბათის ტრადიციული გენერალური აუდიენციები აღადგინა.

პაპი მიესალმა ბავშვებს და მათ წიგნებზე ხელმოწერა უსახსოვრა.

– მოხარული ვარ, რომ აღდგა პირისპირ შეხვედრები. მინდა გითხრათ, რომ არ არის სასიამოვნო საუბარი, როცა წინ არავინ დგას და მხოლოდ კამერაა, – აღნიშნა პაპმა.

კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში პირისპირ აუდიენციები 6 თვის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

აქამდე პაპი მოსახლეობას ვატიკანის ბიბლიოთეკიდან ვირტუალურად მიმართავდა.

მსოფლიოში კორონავირუსის ვაქცინების 1.34 მილიარდზე მეტი დოზაა გამოყენებული

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 175 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 1.34 მილიარდზე მეტი დოზაა გამოყენებული, რაც პლანეტის მოსახლეობის 8.7% -ის სრულად ვაქცინირებისთვისაა საკმარისი.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად, საშუალოდ, 21.6 მილიონ ადამიანს უტარდება.

გამოყენებული ვაქცინების რაოდენობით მსოფლიოში ჩინეთი ლიდერობს, სადაც ვაქცინების 332 მილიონზე მეტი დოზაა გახარჯული. 263 მილიონი დოზაა გამოყენებული აშშ-ში, 179 მილიონი დოზაა გამოყენებული ევროკავშირში, 175 მილიონი – ინდოეთში.

ყველაზე მეტი მოქალაქე, პროცენტულად, ისრაელშია აცრილი, სადაც ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის 56.2%-ს აქვს გაკეთებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

იუვენტუსში აურზაურია

როგორც ირკვევა, ტურინის იუვენტუსში პრობლემებია. როგორც იტალიური მედია წერს, ერთმანეთს ფაბიო პარატიჩი და პაველ ნედვედი დაუპირისპირდნენ.

ცხარე კონსულტაციები მიდიოდა ანდრეა პირლოს მომავალზე, რომლის გუნდიდან გაშვების მომხრე ტურინელთა სპორტული დირექტორი იყო. საპირისპიროდ, აქტიურად იცავდა იტალიელ თავკაცს ნედვედი, რომელსაც მხარი ჩერუბინმა დაუჭირა.

არავისთვის არის სიახლე, რომ პირლოს იუვეში მოყვანის მთავარი ინიციატორი ანდრეა ანიელი იყო. შედეგად ვიცე-პრეზიდენტმა მისი მხარე დაიჭირა და ასე გადაწყდა პირლოს სეზონის ბოლომდე დატოვება.

რაც შეეხება პარატიჩს, მას ანდრეას ნაცვლად სეზონის ბოლომდე იგორ ტუდორის დანიშვნა სურდა, მაგრამ მხარეებმა საერთო აზრი ვერ გამონახეს.

ასევე ბევრი იწერება, რომ კრიშტიანუ რონალდუ ჩემპიონთა ლიგის გარეშე ტურინს დატოვებსო. ეს კი, დაახლოებით 90 მილიონიანი ზარალია. პორტუგალიელის კონტრაქტი „ბიანკონერის“ ისედაც მძიმე ტვირთად აწევს. პრობლემები ამით არ სრულდება... მატეის დე ლიხტთან მიმართებაში ბარსელონა გააქტიურდა. ჩემპიონთა ლიგის გარეშე კლუბს ბიუჯეტი სხვადასხვა სახსრებით ექნება შესავსები და ბარსა ამას კარგად ხვდება, რის გამოც ესპანელები მზადყოფნას გამოთქვამენ, 85 მილიონი გაიღონ ჰოლანდიელის სანაცვლოდ. თავად ჰოლანდიელსაც ესიმპათიურება ეს ვარიანტი, რადგან ბარსას მიმართ საკუთარი ემოციები არასდროს დაუმალავს.

იმერული გუნდების მოულოდნელი გამარჯვებები

დილა-სამგურალი 1:2

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 კირკიტაძე (4), 0:2 ახვლედიანი (68), 1:2 ეტოუ (73)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, სანტოსი (კოუგბენია 73), სილვა, ეტოუ, ნონდი, გაგნიძე, მადინგა, ღუდუშაური (ნემსაძე 68), კამარა

სამგურალი: ქვილითაია, ბანძელაძე (მჭედლიშვილი 81), პატარკაციშვილი, გილმორი (კიკაბიძე 81), ქურდაძე, ბურჯანაძე, ფონიავა, დ.კირკიტაძე (დოლიძე 75), ლექვთაძე (ახვლედიანი 63), კუხიანიძე (ბუხაიძე 63), კალანდარიშვილი

სამგურალმა ის უპირატესობა, რასაც გორელთა გადახალისებული შემადგენლობა აძლევდა, ზედმიწევნით გამოიყენა და გორიდან 3 ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა წყალტუბოში.

გორელებს რამდენიმე ლიდერი აკლდა და თუ ეს წინა მატჩში ლოკომოტივთან კარგად გამოიყენა, ამჯერად სოსო ფრუიძემ აჯობა გორელთა მწვრთნელ ანდრეი დემჩენკოს.

მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტად მაინც მასპინძლები მიიჩნეოდნენ, დებიუტში სტუმრები დავით კირკიტაძემ დააწინაურა. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მომენტებიც ბლომად შექმნეს, მაგრამ გოლი არ გადიოდა.

სამაგიეროდ, გაიტანეს იმერლებმა. ფრუიძემ 63-ე წუთზე ორმაგი ცვლილება განახორციელა, მოედანზე ბუხაიძე და ახვლედიანი შეუშვა. სწორედ მათ კომბინაციას მოჰყვა მეორე გოლი.

მალე ეტოუმ ანგარიში გაათანაბრა და დილა თამაშში დაბრუნდა. თუმცა, მათი მაქსიმუმი მხოლოდ ეს აღმოჩნდა და ქართველებმა დაუგეგმავი ქულები დაკარგეს.

დილა 22 ქულით მესამე ადგილზეა, მაგრამ ამ ტურის შემდეგ ლიდერებთან სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება.

თელავი-ტორპედო 0:4

თელავი. კავკასიონი არენა

0:1 ძარია (27), 0:2 რეკიში (41), 0:3 კვერნაძე (60), 0:4 ჩაკვეტაძე 88)

თელავი: თანდილაშვილი, მარაქველიძე, ბერიაშვილი, ფაცაცია (ციცქიშვილი, 46), ძოწენიძე (ხაბულიანი 75), შერგელაშვილი, ჯანელიძე, ბაიბილაევი (ჯიქია 63), ინჯგია (აშორტია 75), არდაზიშვილი, შეყილაძე (ლ.კოხრეიძე 63)

ტორპედო: ჰამზიჩი, მირცხულავა, ქაფინანიძე, ნადარაია, ინკუმი, ჩალაძე, მამასახლისი, ძარია (ჩაკვეტაძე 71), ბუკასი (ვ.ტაბატაძე 69), რეკიში (ზიდანი 69), კვერნაძე (ჩარგეიშვილი 61)

ვერავინ იფიქრებდა თუ უვარჯიშებელი ტორპედო ასე იოლად მოიგებდა მატჩს. რიონისპირელები თელავთან შეხვედრის წინ დავალიანების გამო სავარჯიშოდ არ გავიდა. გუნდი არც თამაშზე აპირებდა წასვლას, მაგრამ ბოლოს გადააფიქრებინეს და კახეთს ესტუმრა.

ესტუმრა და თანაც როგორ – გუნდმა სეზონში პირველი გამარჯვება იქ მოიპოვა. შოთა ბაბუნაშვილის განწვრთნილმა გუნდმა ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე და დამსახურებულად გაიმარჯვა.

თელავს კი სერიოზული პრობლემები აქვს და გუნდი ბოლო ადგილზეა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	12	7	4	1	21-7	25
2.დინამო (თბ)	12	8	1	3	19-10	25
3.დილა	13	6	4	3	16-11	22
4.საბურთალო	12	5	6	1	16-10	21
5.სამგურალი	13	4	4	5	12-15	16
6.ლოკომოტივი	12	4	3	5	19-21	15
7.შუქურა	12	3	5	4	13-19	14
8.ტორპედო	13	1	7	5	11-14	10
9.სამტრედია	12	2	3	7	12-19	9
19.თელავი	13	1	5	7	10-23	8

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

სასამართლომ სპილოს სახელით სარჩელი მიიღო

აშშ-ში ქალაქ ნიუ იორკის სასამართლომ მიიღო და წარმოებაში ჩაუშვა სპილოს, ჰეპის სახელით შედგენილი სარჩელი, რომელიც ბრონკსის ზოოპარკის ბინადარია. სარჩელი ფონდ Nonhuman Rights Project-ის ცხოველთა დამცველებმა შეიტანეს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა ისტორიაში, როდესაც ინგლისურენოვანი სასამართლო განიხილავს სარჩელს, რომელიც ადამიანის სახელით არ არის შეტანილი. პროექტი ჰეპის სახელით სარჩელის შეტანას 2018 წლიდან ცდილობდა, თუმცა დღემდე სასამართლოები უარს ეუბნებოდნენ. მდედრი სპილოს ისტორია მარტში პორტალმა Curbed-მა გამოაქვეყნა. მასში ნათქვამი იყო, რომ ცხოველი ზოოპარკში 1970-იან წლებში ჩამოიყვანეს. ამჟამად სპილო ცალკე ვოლიერში ცხოვრობს. მისი ცალკე გადაყვანის გადაწყვეტილება ზოოპარკის თანამშრომლებმა იმის გამო მიიღეს, რომ ჰეპი და მეორე მდედრი სპილო, სახელად პეგი, ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ და გამუდმებით ჩხუბობდნენ.

Nonhuman Rights Project კი თვლის, რომ ვოლიერში ცხოველის ყოლა მის უფლებებს არღვევს. პროექტს სურს, სასამართლომ გამოიტანოს დადგენილება, რომლის თანახმადაც ჰეპის სპილოების ნაკრძალში გადაიყვანენ. ცხოველთა დამცველებს იმედი აქვთ, რომ ჰეპი გახდება პირველი ცხოველი, რომლის თავისუფლების უფლება სასამართლოს დადგენილებით იქნება გამყარებული.

ვეშაპის ნაშიერი მდინარე ტემზის ჰიდროტექნიკურ ნაგებობაში (შლიუზში) გაიჭედა

ლონდონში მდინარე ტემზის წყლებში ვეშაპის ნაშიერმა შეცურა და წყლის ნაკადის მარეგულირებელ ერთ-ერთ ნაგებობაში გაიჭედა. აღნიშნული შემთხვევა 9 მაისს, საღამოს მოხდა. ზღვის ცხოველი ბრიტანეთის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ნაგებობაში გაჭედილი ადგილობრივი დროით დაახლოებით 19:00 საათზე შენიშნეს. შემთხვევის ადგილზე მაშველები გამოიძახეს. მათ მისვლამდე ლონდონის პორტის თანამშრომელი პატარა ვეშაპს წყალს ასხამდა, ხოლო ვეტერინარი სინჯავდა, ასევე ნაგებობის წყლით ავსების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, რათა ცხოველს თავად მოეხერხებინა მისი დატოვება.

ადგილზე მისულმა მაშველებმა და მყვინთავებმა ღამის პირველი საათისთვის მოახერხეს ვეშაპის ნაშიერის ამოყვანა და მისი უფრო კომფორტულ გარემოში გადაყვანა, სადაც დაზიანებების შეფასება და იქიდან მის ბუნებრივ გარემოში დაბრუნება მოხდებოდა. პატარა ვეშაპის სამაშველო ოპერაციას ასეულობით ადამიანი ადევნებდა თვალს, ხოლო ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოქვეყნდა.

პატარძალმა საკუთარ ქორწილში ძროხა ამშობიარა

ავსტრალიელი ქალი საკუთარი ქორწილის დროს ძროხას ხბოს მოგებაში დაეხმარა.

საქორწინო ცერემონია ვიქტორიას შტატის ქალაქ პორტლენდის მახლობლად, ფერმაში გაიმართა. შუა ქორწილში ძროხას, სახელად ჟაკო დრამას, მშობიარობა დაეწყო და პატარძალს, ჯესი ლოუსს, ცხოველისთვის დახმარების გაწევა პირდაპირ საქორწინო კაბაში გამოწყობილს მოუხდა.

– მე და ბენი ქორწილის წინა დღეს ვხუმრობდით, რომ ჟაკო დრამა ხბოს სწორედ ჩვენი ქორწილის დროს მოიგებდა, – აღნიშნა პატარძალმა.

ქალის თქმით, ამ ძროხას ადრეც გაუკეთებია რაიმე ორიგინალური ყველაზე შეუფერებელ დროს. ასე რომ, ამ შემთხვევას ისინი არ გაუკვირვებია.

მშობიარობაში, იმის გამო, რომ ნაყოფი საკმაოდ მოზრდილი გამოდგა, პატარძალს შვიდი ფერმერი ეხმარებოდა, რომლებიც ქორწილში იყვნენ მიწვეული. სამახსოვრო დღეს დაბადებულ ხბოს კი დესტენი (ბედი) დაარქვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ოზურგეთის განახლებული თეატრი 14 მაისს გაიხსნება

14 მაისს ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 153-ე სათეატრო სეზონს ახლად რეაბილიტირებულ შენობაში გახსნის.

ოზურგეთის თეატრის შენობა, რომელიც 1961 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია საქართველოში. იგი მნიშვნელოვან არქიტექტურულ ობიექტს წარმოადგენს, მინიჭებული აქვს კულტურული ძეგლის სტატუსი და ოზურგეთის სავიზიტო ბარათად მიიჩნევა. გიგანტური, ხუთსართულიანი სათეატრო ნაგებობის საერთო მოცულობა 7 000 კვადრატული მეტრია. თეატრს აქვს დიდი სცენა 405 კაციანი მაყურებელთა დარბაზითა და ორი იარუსით, სადაც განლაგებულია ლოჟები. იარუსები ქართული სტილის ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული, ხოლო ჭერი მოხატულია გურიის ცხოვრების ამსახველი ყოფითი სცენებით. თეატრში ორი სცენაა, დიდი, მცირე, გააჩნია კიდევ რამდენიმე სივრცე სპექტაკლებისა და ღონისძიებების გასამართად: სამხატვრო გალერეა სხვენზე, დღის შუქით, დიდი სარეპეტიციო დარბაზი, პერსპექტივაში ლიტერატურული სალონი, კაფე-სარდაფი, ღია ტერასა.

ამორტიზებულ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, რაზედაც დაიხარჯა 20 მილიონი ლარი. თეატრის შენობა მორგებულია თანამედროვე სტანდარტებს და ის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით არის აღჭურვილი, ადაპტირებულია შშმ პირებისთვის; აქვს კეთილმოწყობილი სარეპეტიციო ოთახები, საგრიმიოროები, რადიო სტუდია აღჭურვილი თანამედროვე აპარატურით რადიოთეატრისათვის სპექტაკლების ჩასაწერად, სარეკვიზიციო სათავსოები, ქორეოგრაფიული დარბაზები, სამუზეუმო ოთახი, სამკერვალო, სადეკორაციო სახელოსნოსთვის და სხვა.

153-ე სეზონისთვის ოზურგეთის თეატრმა 7 საპრემიერო დადგმა მოამზადა. განსაკუთრებული, ისტორიული მნიშვნელობის სათეატრო სეზონი ოზურგეთის თეატრში გაიხსნება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასილ ჩიგოგიძის სპექტაკლით „მონატრება – ნუ გააღვიძებ“ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით, ინსცენირება ლელა არაბიძის, რომელშიც თეატრის 4 თაობა მონაწილეობს, მათ შორის, დებიუტანტი პროფესიონალები, რომლებსაც პირველად შეხვდება და გაიცნობს ფართო აუდიტორია.

მომდევნო დღეებში წარმოდგენილი იქნება ვანო ხუციშვილის სპექტაკლი „სამს პლუს სამი“ მანანა დოიაშვილის პიესის მიხედვით, ელენე მაცხონაშვილის თოჯინური სპექტაკლი დიდებისთვის „დონ კიხოტი“, დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლი „მთავარი როლი“ თამარ ბართაიას პიესის მიხედვით, ოთარ კუტალაძის „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“ ედუარდო დე ფილიპოს კომედია, მამუკა ბაბილოძის „ვერნისაჟი“ ვაცლავ ჰაველის აბსურდის კომედია.

ოზურგეთის რეაბილიტირებული შენობისა და 153-ე სათეატრო სეზონის გახსნას დაესწრებიან თეატრის მეგობრები, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

თეატრს შემოქმედებითი ცხოვრება არც რეაბილიტაციის პერიოდში შეუწერია – დასი გასტროლებს მართავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და უცხოეთში, მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალებში, იყენებდა ალტერნატიულ სათეატრო სივრცეებს...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

სერფერმა თავდამსხმელი ზვიგენის კბილი სასამართლოს ძალით დაისაკუთრა



26 წლის სერფერმა კრის ბლოუსმა სასამართლოს დახმარებით დაისაკუთრა ზვიგენის კბილი, რომელმაც ექვსი წლის წინ ფეხი მოაკვნიტა.

ინციდენტი 2015 წელს ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროზე მოხდა. სერფით სრიალის დროს მამაკაცს თავს 5,5-მეტრიანი თეთრი ზვიგენი დაესხა. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას გული გაუჩერდა და 10 დღე უგონოდ გაატარა. საბოლოოდ სერფერი გადარჩა, ხოლო მისი სერფის დაფა მასში ჩაჭედილი ზვიგენის კბილით ნაპირზე გამოირიყა.

ავსტრალიის კანონმდებლობის თანახმად, ცხოველის სხეულის ნებისმიერი ნაწილის ფლობა ან გაყიდვა ისჯება ჯარიმით 100 ათასი დოლარის ოდენობით ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ამიტომ ზვიგენის კბილი ზოოლოგებს გადაეცათ.

ბლოუსმა სასამართლოს მიმართა, რათა ზვიგენის კბილი მისთვის გადაეცათ და საბოლოოდ მან სასამართლო პროცესი მოიგო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დინამოს ტრიუმფიდან 40 წელი გავიდა

დღეს 13 მაისია. ქართული ფეხბურთის 40 წლის წინანდელი ტრიუმფის დღე. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ მაშინდელი წარმატება ბოლო შედეგია საქართველოში.

40 წლის წინ კი, დიუსელდორფში მაგარი დღე იდგა – თბილისის დინამომ თასების მფლობელთა თასის ფინალში იენის კარლ ცაისი 2:1 დაამარცხა და ევროპულ პრესტიჟულ ტიტულს დაეუფლა.

მაშინდელ საბჭოთა კავშირში დინამო გახდა მეორე გუნდი (კიევის დინამოს შემდეგ), რომელმაც ეს ტიტული ირგუნა. ეს მართლაც დიდი მიღწევა იყო.

კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ დინამოს მაშინდელი წარმატება, მივულოცოთ იუბილე და უკეთესი მომავალი ვუსურვოთ.

დინამომ მეთექვსმეტედ ფინალში ბერძნული კასტორია 2:0; 0:0 დაამარცხა, შემდეგ იყო ჩრდილოირლანდიური უოტფორდი, რომელსაც 4:1, 1:0 მოუგო. მეოთხედფინალში დინამოს ინგლისური ვესტ ჰემი შეხვდა და 2 მატჩის ჯამში 4:1, 0:1 აჯობა.

ამის შემდეგ მიიპყრო ქართულმა გუნდმა სპეციალისტების ყურადღება და ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტადაც იქცა. ნახევარფინალში ჩვენებმა ნიდერლანდული ფეიენოორდი 3:0, 0:2 დაამარცხეს. თუმცა, მძიმე ბრძოლაში და მსაჯთან ჭიდილში. როტერდამში გამართულ შეხვედრაში ავსტრიელი ვიორერი ძალიან უხეში შეცდომებით გამოირჩა. ცხადია, ფეიენოორდის სასარგებლოდ.

ფინალში დიუსელდორფში დინამომ 2:1 იმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ შნუპხაზეს გოლით დინამო 0:1 აგებდა, ვლადიმერ გუცაევისა და ვიტალი დარასელიას გოლებით მოიგო.

დინამოს შემადგენლობა ასეთი იყო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 67), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდნენ მჭედლიძე, ანდღულაძე, ჟვანია, ჭილაია. იმ ციკლში ასევე მონაწილეობა მიიღეს ჩელებაძემ, ქორიძემ, ჯოხაძემ, მუჯირმა, კერესელიძემ და ჩქარეულმა.

ხვიჩა შუბითიძე: „ქართული ხასიათი წინსვლის საშუალებას არ გვაძლევს“

საფეხბურთო კლუბ საბურთალოს ახალმა მწვრთნელმა ხვიჩა შუბითიძემ ფეხბურთელობისას გერმანიაში დიდი დრო გაატარა. მართალია, ნაკლებად ცნობილ ან საერთოდ უცნობ გუნდებში, მაგრამ კვალიფიციური გამოცდილება დაგროვა.

46 წლის სახით საქართველოს საინტერესო სპეციალისტი შემოემატა.

– საბურთალოში მისვლამდე სხვა შემოთავაზებები თუ გქონდათ?

– გერმანიიდან იყო წინადადება, მაგრამ გუნდს, რომელიც ჩემით იყო დაინტერესებული, პროლიცენზიის მქონე მწვრთნელი სჭირდებოდა, მე კი პროლიცენზია არ მაქვს.

– დიდი ხანი გერმანიაში იმუშავეთ, საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებდით თვალს და რა წარმოდგენა გაქვთ.

– სიმართლე გითხრათ, საქართველოს ჩემპიონატით წელს უფრო დავინტერესდი. პირველ რიგში ის შევამჩნიე, რომ საქართველოში ბევრი კარგი ინდივიდუალისტია, რაც შეეხება გუნდურ და ტაქტიკურ ასპექტს, ამაზე ბევრია სამუშაო.

– რამდენად შეესაბამება საბურთალოს საფეხბურთო ფილოსოფია თქვენს საფეხბურთო სტილს?

– ეს ყველაფერი თავიდანვე დაემთხვა და სწორედ ეს იყო ჩემი ამ გუნდში მოსვლის მიზეზი. 100%-იანი დამთხვევა, ცხადია, არ არის, თუმცა უმეტეს წილად გავუგეთ ერთმანეთს. პირადად აგრესიული პრესინგი მიყვარს, მაგრამ ამ დონეზე სათამაშოდ გუნდი ჯერ მზად არ არის.

– ჩემპიონატის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?

– ასე ერთი გუნდის დასახელება ძნელია. თავში მყოფი 5 გუნდიდან ყველას შეუძლია ოქროს მედლების აღება.

– თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართული ფეხბურთი წინ წავიდეს?

– განსაკუთრებით ვიტყვი, რომ ქართული ხასიათი არ გვაძლევს წინსვლის საშუალებას. ძალიან ამაყები ვართ და ზოგი ფეხბურთელი არ კადრულობს, რომ თუნდაც ბურთი ან წყალი წაიღოს. დისციპლინა აუცილებელია. არასწორი ტაქტიკური მოქმედებები იმდენად ღრმად ზის თავში, რომ რთულია გადაწყობა.

– ახსენეთ, რომ საქართველოში ბევრი კარგი ინდივიდუალისტია. ამაზე ცოტა ვრცლად რომ ვისაუბროთ.

– ნამდვილად ბევრი ინდივიდუალისტი გვყავს და ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ეს ინდივიდუალისტები ზედმეტს იღებენ საკუთარ თავზე. ბალანსი უნდა ვიპოვოთ, როდის არის საჭირო ინდივიდუალური ქმედება და როდის – გუნდური. ეს არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ყველა გუნდის პრობლემაა.

– საქართველოს ნაკრების თამაშებს როგორ შეაფასებთ?

– თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, პროგრესი სახეზეა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვილი სანიოლს დიდი დროა არ ჰქონდა გუნდთან სამუშაოდ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უფრო მარტივი იქნება მისი შეფასება.

– თქვენ, როგორც მწვრთნელს, ახლა გიცნობთ ქართული საფეხბურთო საზოგადოება. როგორი ფეხბურთის მიმდევარი ხართ?

– გუნდებს ძირითადად ბურთის კონტროლზე და შეტევის კარგად მომზადებაზე ვათამაშებდი. ასევე მეტოქის ნახევარზე აგრესიული პრესინგის მოყვარული ვარ. ეს ცოტა რთული პროცესია და არავის ეგონოს, რომ ხვალიდან ყველაფერი დალაგდება. ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევ ბურთის მოგების შემდეგ კონტრშეტევას.

– რამდენად მარტივად დაძლევადია მაღალი პრესინგი ქართული ფეხბურთში?

– ამ მომენტში ძალიან რთულია, რადგან ყოველ მე-4 დღეს თამაშია. მაღალ პრესინგს კი კარგი ფიზიკური მომზადება და აღდგენა სჭირდება. თუ ეს არ იქნება, ფეხბურთელი მხოლოდ პირველ ტაიმს გაძლებს, მეორე ნახევარში კი ამის ძალა აღარ ექნება. როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ კარგი ბალანსი დავალაგოთ.

– როგორც თქვით, ფეხბურთელებში საჭიროა ბალანსი ინდივიდუალურ თამაშსა და გუნდურ თამაშს შორის. რამდენად დიდი დრო დაგჭირდებათ ამის გამოსასწორებლად?

– ეს ინდივიდუალური საკითხია და თითოეული ფეხბურთელის ინტელექტზეა დამოკიდებული. ასე წინასწარ რამის თქმა რთულია.

– საკმარისი დრო გავიდა, რაც საბურთალოს მწვრთნელად დაინიშნეთ. ბოლომდე შეეწყვეთ გუნდს?

– გუნდთან შეწყობა მარტივი არ არის, ამას დრო სჭირდება. ვთვლი, რომ სწორ გზას ვადგავართ, წინ მივდივართ და მომავლის იმედი გვაქვს.

– გიორგი კოხრეიძეს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა. ბოლომდე მზად არის სათამაშოდ?

– გიორგი რომ 100%-ით მზად იყოს, სათადარიგოზე არ დავსვამდი. იგი ერთ-ერთი ლიდერია და როცა ბოლომდე მზად იქნება, კვლავ ძირითადის მოთამაშე გახდება.

– თქვენი საყვარელი 3 მწვრთნელი რომელია?

– პეპ გვარდიოლა ყველას თვალში დიდ კვალს ტოვებს და აუცილებლად უნდა დავასახელო. ასევე დიდი სამუშაო გასწია ჰანს ფლიკმა ბაიერნში. ასევე უნდა ვთქვა იულიან ნაგელსმანი.

– გერმანიაში დიდი დრო გაატარეთ როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა. რამდენად აპირებთ უცხოეთში მიღებული ამ გამოცდილების გაზიარებას ფეხბურთელებისთვის თუნდაც რჩევის სახით.

– ჩემი მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ეგეც არის. მინდა იმ აზრს, რაც თავში უდევთ, განვითარების საშუალება მივცე. ბიჭებთან ხშირად მაქვს საუბარი წესრიგზე, დისციპლინაზე, ერთმანეთის მიმართ პატივისცემაზე. თითქოს წვრილმანებია, მაგრამ ამ წვრილმანებისგან შედგება ყველაფერი.

– 2013 წლიდან მწვრთნელი ხართ. აქამდე თუ იყო რამე შემოთავაზება საქართველოდან?

– არა, სიმართლე გითხრათ, მწვრთნელიც შემთხვევით გავხდი. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, სპორტიდან უმალ ჩამოშორება გულისთვის კარგი არ იქნებოდა და შეიძლებოდა ჯანმრთელობის პრობლემები მქონოდა. ფიზიკური დატვირთვის გამო, ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. შემდეგ ისე მოხდა, რომ ეს გუნდი მწვრთნელის გარეშე დარჩა და მოთამაშე-მწვრთნელი გავხდი. მივხვდი, რომ ეს საქმე მიზიდავდა და ბოლომდე გავყევი, შემდეგ რამდენიმე კლუბის თავკაცი გახლდით. გული იმაზე მწყდება, რომ მწვრთნელობაზე უფრო ადრე არ ვიფიქრე, ახლა გაცილებით წინ ვიქნებოდი.

– თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებ რას გვეტყვით?

– ბავშვობაში ავაზასა და სიხარულში დავდიოდი, იყო იმედი, თეთრი არწივი, შევარდენი და 19 წლის ასაკში გერმანიის მესამე ლიგაში გავაგრძელე კარიერა. შემდეგ სერიოზული ტრავმა მივიღე, იყო კიდევ ერთი კლუბი და შემდეგ აუეში გავაგრძელე კარიერა და გადავედით მეორე ბუნდესლიგაში. 26-27 წლის ვიყავი საუკეთესო ფორმაში. თუმცა, დიდი ფეხბურთი არ მითამაშია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

11 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა

მანჩესტერი-ლესტერი	1:2
საუთჰემპტონი-კრ.პალასი	3:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	35	25	5	5	72-26	80
2.მანჩესტერი	35	20	10	5	68-38	70
3.ლესტერი	36	20	6	10	65-44	66
4.ჩელსი	35	18	10	7	55-32	64
5.ვესტ ჰემი	35	17	7	11	55-45	58
6.ლივერპული	34	16	9	9	57-39	57
7.ტოტენჰემი	35	16	8	11	61-41	56
10.ევერტონი	34	16	7	11	46-42	55
9.არსენალი	35	15	7	13	49-38	52
10.ლიდსი	35	15	5	15	53-53	50
11.ასტონ ვილა	34	14	6	14	49-41	48
12.ვოლვზი	35	12	9	14	35-47	45
13.კრ.პალასი	35	11	8	16	37-59	41
14.საუთჰემპტონი	35	11	7	17	44-62	40
15.ბარნლი	35	10	9	16	33-47	39
16.ნიუკასლი	35	10	9	16	40-58	39
17.ბრაიტონი	35	8	13	14	36-41	37
18.ფულემი	35	5	12	18	25-47	27
19.ვესტ ბრომვიჩი	35	5	11	19	32-68	26
20.შეფილდი	35	5	2	28	18-62	17

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-კადისი	3:2
ელჩე-ალავესი	0:2
ლევანტე-ბარსელონა	3:3

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	35	23	8	4	61-22	77
2.ბარსელონა	36	23	7	6	83-36	76
3.რეალი	35	22	9	4	60-26	75
4.სევილია	35	22	5	8	51-29	71
5.სოსიედადი	35	15	11	9	53-35	56
6.ბეტისი	35	15	9	11	45-47	54
7.ვილიარეალი	35	13	13	9	53-42	52
8.სელტა	35	12	11	12	50-53	47
9.ბილბაო	35	11	13	11	46-38	46
10.გრანადა	35	13	6	16	44-57	45
11.ოსასუნა	36	11	11	14	36-46	44
12.კადისი	36	11	10	15	33-53	43
13.ლევანტე	36	9	13	14	43-53	40
14.ვალენსია	35	9	12	14	46-51	39
15.ალავესი	36	7	11	18	30-56	35
16.ხეტაფე	35	8	10	17	26-41	34
17.ვალიადოლიდი	35	5	16	16	32-49	31
18.უესკა	35	6	12	17	33-52	30
19.ელჩე	36	6	12	18	29-54	30
20.ეიბარი	35	6	11	18	27-46	29

იტალია. სერია ა

ნაპოლი-უდინეზე	5:1

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	35	26	7	2	79-30	85
2.ნაპოლი	36	23	4	9	83-40	73
3.ატალანტა	35	21	9	5	84-42	72
4.მილანი	35	22	6	7	65-41	72
6.იუვენტუსი	35	20	9	6	67-34	69
6.ლაციო	34	20	4	10	60-51	64
7.რომა	35	17	7	11	63-53	58
8.სასუოლო	35	15	11	9	58-52	56
9.სამპდორია	35	13	6	16	46-52	45
10.ვერონა	35	11	10	14	42-43	43
11.ბოლონია	35	10	10	15	48-57	40
12.უდინეზე	36	10	10	16	41-52	40
13.ფიორენტინა	35	9	11	15	47-57	38
14.ჯენოა	35	8	12	15	41-54	36
15.ტორინო	34	7	14	13	48-57	35
16.კალიარი	35	9	8	18	43-58	35
17.სპეცია	35	8	10	17	44-67	34
18.ბენევენტო	35	7	10	18	38-71	31
19.პარმა	35	3	11	21	38-76	20
20.კროტონე	35	5	3	27	42-90	18

ბოსტონი. ბუნდესლიგა

სანტა კლარა-რიუ ავე	1:0
ტონდელა-ბელენესში	1:3
ნასიონალი-ბენფიკა	1:3
სპორტინგი-ბოავიშტა	1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-ტრაბზონი	1:1
ალანია-ერზრუმი	2:3
ბეშიოქაში-ქარაგუმრუქი	1:2
გაზიანეთები-რიზე	4:5
გენჩლერი-გიოზთეფე	5:3
დენიზლი-გალათასარაი	1:4
მალათია-ჰატაი	1:1
ბაშაქშეჰირი-ქაისერი	0:0
ქაშიმფაშა-ანკარაგიუჯიუ	3:1
ფენერბახჩე-სივასი	1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-ადმირა	0:0
სტ.პოლენი-ალტახი	3:3
აუსტრია-ჰარტბერგი	3:1

სამგლოვიარო განცხადებები

ნანა ჩახაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მისი მეგობრის, კოლეგისა და საუკეთესო პიროვნების

თორნიკე ლალიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ყველა მეგობარსა და კოლეგას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 3. მდინარე ბოლნისში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერმონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. საქონელზე, პროდუქციაზე მიკრული სავაჭრო ნიშანი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. აეროპორტი პარიზში; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

თარაზულად: 5. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 6. ჩაუკეტავი მრუდი, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული ფოკუსიდან; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. აეროპორტი ტოკიოში; 15. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 20. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისთვის; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე წამალთმცოდნე; 23. დიდი ზომის სარეკლამო პლაკატი; 24. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფორუმი; 2. აიდა; 3. ალარმისტი; 4. შრატი; 5. პასტელი; 8. ორღანი; 9. ზინგშპილი; 12. ბედეგი; 14. კატარი; 16. ოპიზა.

თარაზულად: 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. როტონდა; 9. ზღარბი; 10. ციხე; 11. სატურნი; 13. ჰოკეი; 15. ვერიკო; 17. ლიბრეტო; 18. ზენიტი; 19. ივერია; 20. ლარიქი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაჩუბი; 2. მაღრაძე; 3. კაკანათი; 4. ფიტარეთი; 8. ბერიკაობა; 9. ალგოლოგია; 11. ათაბაგი; 12. დუყი; 14. ალია; 16. სოლიტერი; 17. ნოვატორი; 19. კამენა; 21. აგავა.

თარაზულად: 5. მაღარიჩი; 6. იღუმენია; 7. ბობოყვათი; 10. დალესი; 13. ალგეთი; 15. ტყიბული; 18. კოპოლა; 20. ელიავა; 22. პომოლოგია; 23. ბრუკლინი; 24. კვესტურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4271

ევრო — 4.1656

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8418

100 რუსული რუბლი — 4.6357

ამინდის პროგნოზი 13 მაისისათვის

ბუფონი იუვენტუსიდან მიდის

ტურინის იუვენტუსის ლეგენდარული მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და ამის შესახებ თვითონ ბუფონმა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბუფონს არ დაუკონკრეტებია, დაასრულებს თუ არა ის კარიერას, მაგრამ ის ამაზე აქტიურად ფიქრობს:

– გადაწყვეტილება მივიღე, რომ იუვენტუსი დავტოვო, რადგან ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური დასასრული. არ ვიცი გავაგრძელებ თუ არა კარიერას, შესაძლოა, სხვა გუნდი მოვძებნო, სადაც თამაშის გაგრძელება მომინდება.

ჟოან ლაპორტას კუმანთან შეხვედრა სურს

ბარსელონას პრეზიდენტს ჟოან ლაპორტას მთავარ მწვრთნელ რონალდ კუმანთან შეხვედრა სურს, რადგან ის ბოლო შეხვედრებით უკმაყოფილოა და კუმანისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

ბარსელონამ რამდენიმე მატჩში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და კატალონიელებს ესპანეთის ჩემპიონობის მცირე შანსი დარჩათ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეზონის ბოლოს კუმანმა შესაძლოა პოსტი დატოვოს.

ბოატენგი შესაძლოა მონაკოში გადავიდეს

მიუნხენის ბაიერნის ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და დიდი ალბათობით კარიერას ფრანგულ მონაკოში გააგრძელებს, სადაც მას 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ.

ბოატენგის მომავალი უახლოეს კვირებში გაირკვევა, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად გაიხსნება.

ბოატენგმა ბაიერნში 10 სეზონი ჩაატარა და ერთი პერიოდი ის ბუნდესლიგაში საუკეთესო მცველად ითვლებოდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სოფლის მკვიდრმა ჩვილი ბავშვის ზომის ბაყაყი აღმოაჩინა

სოლომონის კუნძულების დედაქალაქ ხონიარის მახლობლად მდებარე სოფლის მკვიდრმა ჩვილი ბავშვის სიდიდის უზარმაზარი ბაყაყი აღმოაჩინა.

ხის სამხერხაოს 35 წლის მფლობელი ჯიმი ჰიუგო ტახზე ნადირობდა, როდესაც შენიშნა, რომ მისი ორი ძაღლი უზარმაზარი ბაყაყით ერთობოდა, რომლის წონა დაახლოებით ერთი კილოგრამი იქნებოდა. მისი აღიარებით, მანამდე ის ასეთი ზომის ბაყაყს არასოდეს გადაწყდომია.

– ის ბავშვის ზომის იყო, – ხაზგასმით აღნიშნა ჰიუგომ. მისი თქმით, ადგილობრივები ამ სახეობის ბაყაყებს იჭერენ და საკვებად იყენებენ და მის ხორცს ქათმისას ამჯობინებენ, თუმცა იქვე ისიც აღნიშნა, რომ მისი დაჭერა არც ისე ადვილია.

პოვნის მომენტისთვის ბაყაყი უკვე მკვდარი იყო და ამიტომ სოფლის მცხოვრებლებმა მისი შეჭმა გადაწყვიტეს.

– იმედია, რომ შემდეგ ჯერზე ცოცხალ ბაყაყს გადავაწყდებით და მას ხელს არ ვახლებთ, – აღნიშნა ჰიუგომ, რომელმაც ცხოველს სამახსოვროდ ფოტოსურათი გადაუღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 მაისისათვის

ვერძი – რთული დღეა, დაკავშირებული შეუსრულებელ მოვალეობებთან. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. **კურო** – ემოციების გამოვლენას პლანეტები არ გირჩევენ. შედეგით უკმაყოფილო დარჩებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირობა შეასრულეთ. მეგობრებს და ნათესავებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **კირჩხიბი** – კონტაქტი მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებთან იქონიეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **ლომი** – გამოიჩინეთ პრაქტიკულობა. მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **ქალწული** – აქტიური ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. საღი აზროვნება შექმნილი პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ. **სასწორი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **ღრიანაქალი** – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს თვითგამოხატვის საშუალება ეძლევათ. ჰარმონიული დღეა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას ერიდეთ. **თხის რქა** – კრიტიკულად იაზროვნეთ. ეცადეთ, მარტო დიდხანს არ დარჩეთ. **მერწყული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის ხალისი გიბრუნდებათ. საღამოს საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **თევზები** – იღბლიანი დღეა. საქმიანი შეხვედრებისათვის დღის პირველი ნახევარი უფრო ხელსაყრელია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ხართ?

– 18 წლის და 444 თვის.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი, ცრუ ექიმი ამხილეს.

– როგორ?

– გარკვეული ხელწერით.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეზობელი ლამარა ქუჩაში ისე ახველებდა, რომ ყველანი მას უყურებდნენ.

– რა, გრიპი აქვს?

– არა, ახალი კაბა ეცვა!

●●●

გამომძიებელი ქალს ეკითხება:

– თქვენი ოთხი ქმარი სოკოთი მოიწამლა, მეხუთე კიბიდან გადმოვარდა. ამ ყოველივეს როგორ ახსნით?

– მეხუთეს სოკო არ უყვარდა.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– რატომ ეწევი? არ გაგიგია, რომ ნიკოტინი ცხენს კლავს?

– ჰოდა, საკუთარ თავში ცხენს ვკლავ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



რეპერი გიორგი იოსელიანი 29 წლის ასაკში გარდაიცვალა

რეპერი გიორგი იოსელიანი იგივე ქეზი ჯეზი 29 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

გარდაცვალების მიზეზი უცნობია, თუმცა მას მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალების მიზეზი თრომბი გახდა.

გიორგი კეკელიძემ ზაზა გახელაძის შვილებს დათა პაპას სტიპენდია დაუნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ოკუპაციური რეჟიმის პატიმრის ზაზა გახელაძის შვილებს სოფელ ქვემო ჭალაში ჩააკითხა, ახალი წიგნები ჩაუტანა და დათა პაპას სახელობის სტიპენდია დაუნიშნა:

– ოკუპაციური რეჟიმის პატიმრის, ზაზა გახელაძის შვილებს, ანანოს და მარიამს, დათა პაპას სახელობის სტიპენდია დავუნიშნეთ და მათი ახალი ბიბლიოთეკისთვის პირველი წიგნები ჩავიტანეთ.

ქეთევან ქემოკლიძე ესპანეთის მედიის ყურადღების ცენტრშია

ოპერის ქართველი მომღერალი ქეთევან ქემოკლიძე ესპანეთის პრესტიჟული საოპერო ჟურნალის მთავარი რესპონდენტი გახდა. ჟურნალმა ქართველი მომღერალი ჟურნალის ყდაზე დაბეჭდა:

– უსაზღვროდ მიხარია, რომ ესპანეთის ყველაზე პრესტიჟული საოპერო ჟურნალის „ოპერა აქტუალის“ ყდაზე აღმოვჩნდი ჩემი სევილიური კარმენის აღსანიშნავად. აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩემი ვრცელი ინტერვიუ ჩემი შემოქმედების, ცხოვრების და ჩემი საყვარელი ესპანელი პერსონაჟის შესახებ.

დათო ოქიტაშვილს აკადემიკოსობა მიანიჭეს



საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელი დათო ოქიტაშვილი ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად აირჩიეს.

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიის ყველა იმ წევრს, ვინც ნდობა გამომიცხადა. ჩემი ეს წარმატება მარტო ჩემი შექმნილი არ არის, ჩემთან ერთად ამ დიდ შრომაში იყო თანამოაზრეთა და მეგობართა დიდი გუნდი, რომელსაც უნდა ვუმადლოდე ჩემს ენთუზიაზმს, იდეებს, პროექტებს და დაუღალავ შრომას, ხშირად შრომაში გათენებულ უამრავ ღამეს. არ მინდა პერსონალურად ჩამოვთვალო მათი სახელები, რათა ვინმე არ გამომრჩეს, ვინმეს ღვაწლი არ დამრჩეს ყურადღების მიღმა.

ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი მტერიც გაგვიჩნდა, ბევრი ცილისწამება და შემოტევა გადავიტანეთ ერთად, მაგრამ არც ერთი წუთით არ შეგვპარვია ეჭვი ჩვენი საქმის წარმატებით დასრულებაში. ყოველი შემოტევა უფრო გვაძლიერებდა და უფრო მეტი შემოქმედებითი მუხტით მივიწევდით წინ.

ჩვენ კიდევ ბევრი გამარჯვება გველოდება მომავალში! დიდი მადლობა საზოგადოებას, მათ ვისთვისაც ვშრომობთ. ჩვენ, სწორედ მათი თანადგომა გვაძლიერებს და გვაძლევს ძალას, ვიბრძოლოთ მომავალი გამარჯვებებისთვის, ეს გამარჯვება თქვენიცაა.

ვულოცავ ჩემს თავს და გილოცავთ თქვენც ... წინ, ერთად გამარჯვებისაკენ! მადლობა ნდობისთვის!

მედეა ჩახავას, მარინე თბილელის და სალომე ყანჩელის 100 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნება

13 მაისს რუსთაველის თეატრში სამი უნიჭიერესი მსახიობის მედეა ჩახავას, მარინე თბილელისა და სალომე ყანჩელის 100 წლის იუბილე აღინიშნება.

ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება საღამო, სადაც სამივე მსახიობის თეატრალური და კინო როლები, ასევე მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები იქნება წარმოდგენილი.

მაყურებელს კარგად ახსოვს ამ დიდებულ ოსტატთა მიერ შექმნილი არაჩვეულებრივი სცენური თუ კინო როლები. სამივე მათგანის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრთან. ამ თეატრის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი, გასული საუკუნის 50-80-იანი წლები, წარმოუდგენელია მედეა ჩახავას, სალომე ყანჩელისა და მარინე თბილელის სამსახიობო შემოქმედების გარეშე.

ღონისძიების იდეის ავტორი და წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე ისაუბრებს მსახიობთა შესახებ და მაყურებელს მათი საინტერესო შემოქმედებითი და პირადი ცხოვრების უცნობ ეპიზოდებს გააცნობს.

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები გაიხსენებენ სამ უდიდეს მსახიობს და გაითამაშებენ ეპიზოდებს იმ სპექტაკლებიდან, რომლებშიც ეს სამი ბრწყინვალე მსახიობი ქალი მონაწილეობდა.

90-წუთიან საღამოს მუსიკალურ თანხლებას გაუწევენ ქართული მუსიკალური სფეროს ცნობილი წარმომადგენლები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. თაფლიანი ფიჭა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ბრინჯით, ხახვით, სუნელებით შეზავებული საქონლის ხორცის წვნიანი კერძი; 5. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. ფულის ერთეული ტაჯიკეთში; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ოქროს მწარმოებელი საწარმო საქართველოში; 10 ცხენოსანთა გუნდური თამაში ბურთით; 11. ძველური სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 13. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. ძვირფასი თვლებით შემკობილი ქალის გვირგვინი; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა